



მეფემსი

მწყემსან კელიზან სული
თვისი დასადვის ცხოვართათვის
იონ. 10—11.

№.№ 3-4

1883—1909 წ.

28 თებერვალი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტირატორი განმარტობა: ცხოველი სარწმინოება, თარგნილი, მღვ. იოანნე ლუკიანოვისა.—ვისი და რი-
სი ბრილია, რომ სანთლის წარმოების საქმე იმერეთის ეპარქიაში ასე ცუდათ მიდის? დამსწრესი—მწარე ფიქრები სო-
ფლის ზუცისა—სათათბირო—ეპისკოპოსი კირიონი—ლექსები ნათლისღება იესო ქრისტე მაცხოვრისა ი. ბალუევისა—
მოძღვარს მამა ალექსი ბერს. თ. როსტომ—გუტა ჩიქოვანისა—ღარიგება მოზარდ ყრმათათვის ი. ბალუევისა—ახალი
ამბები და შენიშვნები.

სვამლა და ეცნიერება ძრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-წყნობაზე: თვით მცირე დასასრული
თარგმნილი ი. ლუკიანოვის მიერ.—განცხადებანი.

ცხოველი სარწმუნოება. თარგმნილი.

F4091

არის სარწმუნოება ისტორიული. იგი მდგო-
მარობს იმაში, რომ კაცს ჭეშმარიტად მიაჩნია ის,
რაც გაუგონია, ან წაუეითხავს. მაგალითად, მე წა-
მიკითხავს, რომ ქრისტე მაცხოვარი დაიბადა,
სცხოვრებდა ქვეყანაზე, მოკვდა, აღსდგა და ამაღლ-
და ზეცას. მე ეს ყოველივე მრწამსს, ჭეშმარიტად
მიმაჩნია.

მაგრამ მაცხოვრებს მე ეს სარწმუნოება?—არა.
იგი არ ახდენს ჩვენში არავითარ ცვლილებას, იმის-
თვის რომ იმას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ ჩემის
თავისათვის, და არა გულისათვის. შკოლაში თქვენ
გაგდგონათ, რომ ოდესღაც სცხოვრებდა ნაპო-
ლეონი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორად
გახდა, დაიპყრო ბევრი ქვეყნები და ბოლოს მოკვ-
და წმ. ტელენეს კუნძულზე. ყველა ეს გჯერათ
თქვენის თავით, მაგრამ აქედან რა გამოდის?..

კიდევ მაგალითი, მე მისწავლია რომ თამბაქოს
შხაში ურევია, და ამიტომ თამბაქოს წვევა მავნებე-

ლია. მე ეს მწამს, მჯერა. მაგრამ აქედან რა
გამოდის, თუ-კი მე მაინც ვწვევ თამბაქოს და ამითი
ზარალს ვაყენებ ჩემ თავს?..

აი სწორეთ ვგრეთვე მხოლოდ ერთი რწმენა
ისტორიული იესო ქრისტეს მიმართ მე ვერ მა-
ხონებ. მოიგონეთ საუბარი იესო ქრისტესი ნიკო-
ლიმოსთან (იონ. 3, 1—21). განა ნიკოლიმოსს
არა სწამდა, როცა სთქვა: „რაბი! უწყით, რამეთუ
ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღვრად; რამეთუ
ვერვის ხელემწიფების სასწაულთა ამით საქმედ, რო-
მელთა შენ იქმ, უკეთუ არა ღმერთი იყოს მისთაა“.

ჭეშმარიტმა სარწმუნოებამ უნდა მოახდინოს
კაცის გულში ძირეული ცვლილება.

მხოლოდ მარტო თავით მიღებული სარწმუ-
ნობა-კი გვტოვებს ჩვენ ისეთებს, როგორც ჩვენ
ვართ ბუნებითვე, რადგანაც „შობილი იგი ხორც-
თაგან ხორცი არს, და შობილი იგი სულისაგან
სული არს. (იონ. 3, 6). ასეთი რწმენა ღვთისა
და მაცხოვრის მიმართ აქვს ეშმაკებსაც და კიდე-
ვაც ჰმრწიან (იაკ. 2, 19). რა თქმა უნდა, ასეთის
სარწმუნოება არა ჰქონდა სასულიეროებს, რადგან
საც სთქვა: „ამინ, ამინ გეტყვიან, რომელთა
სახელითა ვიწოდებთ“.

ბაბლიონი



პრწმენეს ჩემი, აქვდღეს ცხოვრება საუკუნო“.
(იოან. IV, 47). ცხოველი სარწმუნოება მოგვეცემს
ჩვენ წყაროს კეთილი საქმეებისათვის. ქრისტე მა-
ცხოვარი გვაპირდება ჩვენ, რომ მისი მორწმუნე
იზამს ისეთ საქმეებს, რომელსაც თითონ ის სწაილი-
და, და კიდევაც მომეტებულს. ცხოველი სარწმუნ-
ოება პირველი საჭიროებაა ჩვენთვის.

ქრისტიანობა არის არა რაიმე გარეგნული;
ქრისტიანობა არის სიყვარული. მაცხოვარმა უთხრა
თავის მოწაფეებს: „მცნებასა ახალსა მივცემ თქვენ,
რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს; ვითარცა მე შე-
გიყვარენ თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურ-
თიერთარს. ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი
მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარს“.
(იოან. 13, 34—35); „უკეთუ ვისმე უყვარდემ მე,
სიტყვანი ჩემნი დაიძარხნეს; ხოლო რომელსა არა
უყვარდემ მე, სიტყვანი ჩემნი არა დაიძარხნეს“.
(იოან. 11, 23—24). „რომელი დაადგრეს ჩემთანა
და მე მისთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი;
რამეთუ თვინიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფდ
არცა ერთი. უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა,
განვარდეს გარე, ვითარცა ნახსლევნი, და განჰმეს,
და შეჰკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწ-
ვას. უკეთუ დაადგრეთ ჩემთან და სიტყვანი ჩემნი
თქვენთანა ვენენ, რადაცა გინდეს, ითხოვეთ, და გე-
ყოს თქვენ. ამით იღიდოს მამა ჩემი, რათა ნაყოფი
მრავალი გამოიღოს, და იყენეთ ჩემდა მოწაფე.
ვითარცა შემიყვარა მე მამამან, მეცა შეგიყვარენ
თქვენ; დაადვიეთ სიყვარულსა ჩემსა ზედა“.
(იოან. 15, 5—9).

„რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი
მისთანა ჰგის, და იგი ღმრთისი თანა. რომელსა
არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ
ღმერთი სიყვარული არს“ ა. იოან. 4, 8, 16).

„სიყვარული სულ-გრძელ არს და ტკბილ,
სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა მალ-
ლოინ, არა განლანის, არა სარცხენელ იქმნის,
არა ეძიებნ თავისასა, არა განჰრისხნის; არად შეჰ-
რაცის ბოროტი, არა უხარინ სიკრულესა ზედა.
ყოველსენ თვის-იდენბ, ყოველი ჰრწმანს, ყოველსა
ესავენ, ყოველსა მოუთმენენ. სიყვარული არა სადა
დავარდების“.
(ა. კორინთ. 13, 4—8).

„სიყვარულმან მოყვასსა თვისსა ბოროტი არა

უყვის; აღმასრულებელი სჯულთსა სიყვარული არს“
(რომ. 13, 10).

ახლა ვიკითხოთ ჩვენ, არის ამ დროში სიყვარ-
ული? რას ეხედავთ ჩვენ ეხლა?

უღვთობას, ურწმუნობას, უფლებათა და-
უმორჩილებლობას, უზატიციემულობას მშობლების
მიმართ, გარყენილობას, ცარცვა-გლეჯას, ლოთო-
ბას, ძალმომრეობას, ერთმანეთის უზატიციემულო-
ბას და სხვა ამისთანას.

ყველაფერი, რაც-კი ცუდია, რაც საზიზღარია,
— ეხლა ჰღელავს, სდულს და გადმოდის გარედ,
და ლამის ყოველივე წარდენას, რაც გზაზე დაუხვდება.
ყოველივე ეს ხდება ხალხში, რომელიც უწოდებს
თავის თავს ქრისტიანად.

ღვთის შიში გაჰქრა. წინანდელ დროში ხალხს
უფრო ეშინოდა ღვთისა, უფრო მტკიცედ სწამდა
იგი და უფრო გულწრფელი იყო. ძველ დროში
თუმცა უსწავლესები იყვნენ, მაგრამ ღვთის სი-
ყვარული უფრო იყო ღვთის დღვლათიც იყო იმათ-
ზე. ეხლა-კი ყველა ეს ბოროტება წარმოსდგა იმის-
თვის, რომ სულიერმა მხარემ დაჰკარგა ძალა,
დაჰკარგა გავლენა, მნიშვნელობა, და ყველაფრის
ამის საფუძველია ის, რომ **სარწმუნოებას ადარ ანას.**
აღარ არის სარწმუნოება ქეშმარიტი, ცხოველი,
სარწმუნოება სახარებისა, სარწმუნოება ღვთისა,
სარწმუნოება სულიერი, სარწმუნოება სიყვარულის
საქმეებით მომქმედი. სწავლა სახარების გემოზე
აღარ არის; ხოლო მარტო საერო სწავლა არ გა-
ანათლებს, არამედ კიდევაც თითქმის რყენს.

უსჯულოება ვერცხელა ყველგან; ყველა სა-
ზოგადოების დარგში, როგორც დაბალში, ისე მა-
ღალში; თავს ჩენილობს ყველგან და შეიპყრო
თვით სამღვდლოების ნაწილიც. ხალხმა მომეტე-
ბულათ შეიყვარა სინნელე, მინამ სინათლედ, და
ემებს მხოლოდ თავის ხორციელ სიამოვნებას.

ქრისტიანებო! დროა გამოვხიზლდეთ, დროა
გონს მოვიდეთ, დროა გავცოცხლდეთ. დროა მკე-
დრებით აღვდგეთ და გავნათლდეთ ქრისტეს სინა-
თლით. არ არის კარგი ასეთი დღუფრობობა, ასეთი
გულ-გრილობა სარწმუნოებასა და მის მცნებაზე.

მამო, ძვირფასნო ჩემნო მეგობარნო, ყველა
მახლობელნო და შორიელნო! ახლო მოდით სინა-
თლესთან! ახლოს ქეშმარიტ სინათლესთან, რომე-

ლ. ც. განანათლებს ყოველსა კაცსა; მომავლსა სოფლად; ახლოს ქრისტიანობრივ სარწმუნოებასთან, ახლოს სახარების სინათლესთან ქრისტეს სწავლასთან, ახლოს მოდით თითონ ქრისტესთან!

მღვ. იოანე ლუკინაოვი.

მისი და რისი ბრალია, რომ სანთლის წარმოების საქმე იმპერიის მარაში ახე ცუდად მიდის?

ხშირად ხდება კაცი ავით მიტომ, რომ სრულებით არ ემის თვის მოვლა, არ იცის ზომა კამისისა, არ უფროხილდება ტანის გაცივებას; არ იცის თვითონ და არც მაცადინობს შეიტყოს მკოდნე კაცისაგან სასარგებლო დარიგება თვის გამართულობის შესახებ. როდესაც ავად ხდება და სასტიკად იქნეჯნება სნეულებისაგან ბრალსა სდებს აყოლას, მამნებს, თვალის აღებას და სხვა ამისთანა გამოვლინდ მიზნებს. იმას არასოდეს არ აღიარებს, რომ ხშირად თვითონ სნეულია დამნაშავე თავის ავთომყოფობისა.

სწორეთ ესევე ითქმის ჩვენი სანთლის წარმოების საქმის შესახებაც. 1896 წლამდე ჩვენი სანთლის ქარხნის წარმოების საქმე მიმდინარეობდა სპარსეთის შაჰის კანონების საფუძველზე. აღმოსწინდა ჩვენშიაც სათარ-ხანი და ჩაიგდეს ხელში სანთლის ქარხნის წარმოების საქმე და ორი წელიწადი თვალზე აღუხილეს ყველას და დაუშტკიცეს, რომ სანთლის წარმოების საქმეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მაგრამ ძველი მართვედები თვის მიხერხებული პოდრაიჩიკი ბუჟათი ამხედრდენ სანთლის ქარხნის კონსტიტუციონურ მმართვა გამგეობის წინააღმდეგ და ისევე ჩაიგდეს ხელში ძველებურმა გამგეებმა. ამ დროის შემდეგ უკან უკან თუ იწევს სანთლის წარმოების საქმე, თორემ წინ სვლა სრულებით აღარა სჩანს. სანთლის საწყობი თავშესაფარად გაიხადეს ამ ბოლო დროს, წარმოიდგინეთ რომ სამღველოებას აღარც თავისი საკუთარი ქარხანა აქვს და აღარც წინანდელი

წრომა და ჯაფა. მაგრამ საწყობის გამგეს 800 მ. აქვს დანიშნული, ჰკითხეთ რა მოვალეობა აქვს ამ მმართველს? გამზადებული სანთელი უნდა მიიღოს გელათის მონასტრის მთავარს და ფულები უნდა მიიღოს სანთლის გამყიდველისაგან. წლის ბოლოს რალაცა უმსგავსოდ პატარა დაწერილ ანგარიშს შეიტანს სამღველოების კრებაზე, სწორეთ ამ დროს როცა დებუტატები სახლში წასვლას მიეჩქარებიან და ყოველივე მსჯელობას უყურადღებოდ სტოვებენ. ერთი კვირის განმავლობაში ერთი უშველები არის ამა თუ იმ ეურნალურ დაღვნილების შესახებ უკანასკნელად როცა ხელს აწერიებენ ერთიც არ იკითხავს თუ როგორ არის ეურნალი დაღვნილი, ისე როგორც იყო გადაწყვიტილი თუ აკლია რამე?..

სამღველოების დებუტატებმა ნაცვლად იმისა, რომ სანთლის წარმოების საქმის მმართველობის ზედამხედველებისათვის ყურადღება მიექციათ სრულებით აბუჩად მოეკიდენ საქმეს და ისეთი კაცები დანიშნეს, რომელთაგანაც არა გამოვიდოდარა. ნაცვლად იმისა, რომ სანთლის წარმოების საქმე როგორად დაეყენებიათ ისეთ კაცებს ჩაუგდეს ხელში რომ ფულების გასესხების მეტს არას ფიქრობდენ და ბოლოს როცა სამღველოებას სასწავლელების შესანახავად ფულები ეთხოვებოდა სანთლის ქარხანას 5000 მანეთამდე ამ დროს ქარხანას სხვა და სხვა პირებზე დახარჯული, ნაჩუქარი და გასესხებული ჰქონდა. კრებამ ნაცვლად იმისა, რომ ამ გარემოებისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ი რა საშუალება იხმარა. ფუთი სანთელი ორმოცი მანეთიდან 48 მანეთად გახდა, და ისიც წარმოიდგინეთ, ყვითელი სანთელი, გაუთეთრებული... ესეთი დაღვნილება არ მომხდარა არც ერთ ადგილას მთელს იმპერიაში.

ამბობდენ წინეთ: როცა უმეტესი ნაწილი დებუტატებთ სემინარიელები იქნებიან კრებაზე მაშინ უკეთ წავა კრების საქმეო. ღმერთმან ჩვენი მტრის საქმე წაიყვანოს ისე როგორც ჩვენი სანთლის წარმოების საქმე მიმდინარეობს... წინეთ გირვანქა გაუთეთრებლს დაზადებულ სანთელს ყიდდენ თფილისში 34 მანეთად ახლაც იშოვიეთ. რად უნდა მისთვის კაცმა 16 მანეთი მეტი ფუთში როდესაც საწყობი 6 მ. მეტს მოგებას ფუთზე აღარ იძლევა?..

მადლობა ღმერთს, რომ ყ-ღ სამღვდლო გიორგიმ შეაჩერა ძველებურად ფულების გასესხება სანთლის საწყობიდან და ნებას აღარ აძლევს ხელები ავანტიურონ სანთლის ფულების ყუთში, თორემ სულ აღარაფერს აღარ მოიკემოდა სანთლის წარმოების საქმე. იმედია მათი მეუფება სანთლის სესხს აღარ შეაწვევს ძველებურად და ყველას ანგარიშს გაასწორებინებს.

ზომეირთებს, რომელთაც ფულები გაიტანეს სანთლის საწყობიდან ვახუშტის სახით დებუტატებმა გარდაუწყვეტის მეოთხედი ჯამაგირის გამოკრეცვა ყოველ თვეში. ამ ანგარიშით თითქმის ორი წელიწადი უნდა იხადონ მათ ეს ფული. ეს მიდგომილობით გარდაუწყვეტილება მათმა მეუფებამ არ დაამტკიცა და ნახევარი ჯამაგირი დაუკავა. კაცს ფულები ასესხეს ორი სამი წლით უსარგებლოდ და მერე ეუბნებიან მეოთხედი თვის ჯამაგირი შემოიტანეთო!.. დიად ცხადათ სწანს „ლოლიკური“ ახრი კრების დებუტატებისა.

სასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სანთლის საწყობმა აღტკეპული ფული ვერ წარმოადგინესო. უკანასკნელ კრებაზე სმღვდლოცის დებუტატებმა, რომელთაც ქალიშვილები და ვაჟიშვილები ყავსთ სასწავლებელში მოითხოვეს, რომ სამღვდლოცებამ მიიღოს ყველა ხარჯი სასწავლებლების თავის თავზეო და ხმის ამოუღებლად მიიღეს კიდევც. ბოლოს აღიძრა კითხვა თუ რამდენი დავდვას გადასახდელათ ყოველ წლობით ჯამაგირებზე? მაგრამ არ მოხერხდა ცნობის შეგროვება იმაზე თუ რამდენი შეეძლება სანთლის ქარხანას გარდაიხადოს სასწავლებლების შესანახავად. ბოლოს დანიშნეს კამისია დეც. დ. დამბაშიძისა მღ. ბასილ დოლაბერიძისა და ბლაღოჩინის ი. ფანცხავასაგან, რომელთაც დადავდეს რომ მათ გარდაუწყვიტათ ყოველ წლობით თუ რამდენი პროცენტი გამოერიცხოს ჯამაგირიდან მღვდლებს. უჯამაგირო მღვდლებმა ორი-სამი ქალიშვილი ან ვაჟიშვილი რომ ყავდეს სასწავლებელში შორიდან სეირი უნდა ჟუჟუროს სასწავლებლის არსებობას!

დეც. დამბაშიძემ განუცხადა კრებას, რომ თვითონ კრებამ უნდა გადაწყვიტოს თავის დადგენილებით თუ რამდენი გამოერიცხოს სამღვდლოცებს ჯამაგირიდან, თორემ სხვის გადაწყვეტილება სასარგებლოდ არ დაურჩება და არც მე

მსურს რომ სამუდამოთ ჩემ საწყვერად სამღვდლოცებს დავადეა ისეთი გადასახადი, რომელიც ბოლო დროს სანანებლად გაუხდეს. მე მხოლოდ იმ პირობით ვიკისრებ თუ მარტო ამ წელში იქნება მიღებული ჩვენგან გარდაუწყვეტილი გარდასახადი. შემდეგ კრებაზე თვით სამღვდლოცების კრებამ გადაწყვეტოს თუ რამდენი გამოერიცხოს თავის ჯამაგირიდან სასწავლებლების შესანახავად.

ამ გადასახადის გადადება და დამკრება დამოკიდებულია სანთლის წარმოების საქმეზე და ამისთვის თუ სანთლის საქმე არ დადგა რიგინად დიდი გადასახადი დავდება სამღვდლოცებს. საკვირველია, რომ ყველა იმ გადასახადების წყაროები სანარგებლობაზე რომელთაც სინდონი უქაზები უჩვენებენ სამღვდლოცებს, რომ დაიხზარონ უარს განაცხადებს. კრებამ თანხად დამბაშიძის განცხადებისა დაადგინა, რომ კომისიის გადაწყვეტილება ჯამაგირიდან პროცენტების გამოკრეცვისა სასწავლებლების სარჩოდ იქნება მარტო ამ 1909 წელში და შემდეგისათვის კი კრებამ უნდა თვითონ იქნაინოს მსჯელობა და გადაწყვიტოს სამუდამოთ.

რა გააკეთა აღრჩეულმა კამისიამ და რამდენი პროცენტი გამოერიცხა სამღვდლოცებს სასწავლებლების შესანახად ჯამაგირებიდან? წს თებერვალს შეიკრიბნენ კამისიის წევრი ქუთაისში საქმის გადასაწყვეტად. ამ დროისთვის ყველა საქარო ცნობები იყო დაბარებული სასწავლებლებიდან და სანთლის ქარხნიდან. სასულიერო ოთხ-კლასიანმა სასწავლებლებმა წარმოადგინა მოთხოვნებიანი სახლის რემონტისათვის 4000 მანეთი ნასესხები ფსულების გასატუმრებლად 2500 მანეთამდე და 1909 წლის სმეტით წარსული წლის სმეტის ანგარიშზე 500 მანეთამდე მეტი. სხვათა შორის იყო მოხსენებული, რომ რევიზორმა ბრძანა, რომ მომავალი წლიდან განზრახულია უცხო ენები ფრანგული და ნემეტური უნდა იქნეს შემოიღობულიო და ორს საიდარეო გადმოხვეწილი პირს ჯამაგირი დასჭირდებაო. ამ გაკვეთილების ხარჯი უკვე სასწავლებლის სამართველოს შეუყვანია სმეტაში კიდევც! სწოეთ იმაზე იტყვიან: ეშმაკი ტუქს აღბობდა და ღკინო არსად ჰქონდაო. ორჯონიკიძემ გლეს უთხრა: ბიჭო! ხვალ ადრე ადექი, სურამში უნდა გაგაგზავნოვო. ადგა დილაზე ეს კაცი და გათენებული არ იყო ისე გადავიდა სურამში. და-



ბრუნდა უკან, რადგან არ იცოდა თუ რაზედ აგზავნიდა თავის ბატონი. „ჯერ არ დაბადებულყო და პეტრეს არქვედენო.“ ჩვენი სამღვდლოების წარმომადგენლებსაც ეს ხარჯი ორივე ხელების მოწერით დაუმტკიცებიათ! ნეტავი იმ სამღვდლოებს ვისაც ამითთანა წარმომადგენლები ჰყავს! წარმოიდგინეთ, მოსწავლე ათავებს სასწავლებლის კურს, შეუცდომლად ათ მცნებას ვერ იტყვის და ერთ რიგიან წერილს ვერ დასწერს ქართულად და ამით უცხო ენებს ასწავლიან კიდევ!?

ეპარქიალური ქალების სასწავლებლის საბჭოდანაც მოვიდა 1909 წლის სმეტა, ბატონი ინსპექტორის ზედ ვაგლენით, შედგენილი. საბჭოს წევრებს გადაუწყვეტიათ, დღევანდელი უბედური მდგომარეობა რომ წაღმა მობრუნდეს და საწვავლებელი უფრო აყვავდეს საქირთა მიუცილებლად ბატონს ინსპექტორს ჩოგოვამეს ჯამაგირი უნდა მოემბატოსო, აგრეთვე ჯამაგირი უნდა მოემბატოს სასწავლებლის უფროსს და სხვა პირებსაც და იმედია სახეში იქონიებს კომისია და დაადებს სამღვდლოების ჯამაგირებს გადასახადსო, ამისთანა მიუცილებელ ხარჯების დასაფარავადო. ერთი სიტყვით რაც შეიძლება ფულები ბევრი დავგინიშნეთ და დახარჯვა ჩვენ გვკითხეთო!..

სანთლის ქარხანამაც თავისი მხრით განაცხადა, რომ სანთელი აღარ იყიდება იმდენი რამდენიც წინეთ იყიდებოდაო. ამ წელში როგორც ვიცით ას ორმოცდა ათი ფუთი დააკლდება გაყიდულ სანთელს წინა წლების ანგარიშებითა და ჯამაგიეებიდან უნდა გადაიხადოს სამღვდლოებმაც რაც სანთელს შემოსავალი დააკლდებაო...

გინდათ შეიტყოთ რით მართლულობენ ჩვენი სანთლის საწყობის მართველები თავიანთ თავს და რაზედ ამყარებენ წარსულს და მომავალ სანთლის გაყიდვის დაკლებას? ქუთაისის მაზრის სამღვდლოება და სტაროსტები, რადგან ფოთში იაფად იყიდება სანთელი იქ მიიღან და იქ ყიდულობენო და შორაპნის მაზრის სამღვდლოებას მიხაილოვი ეახლოება და იქ ქართლ-კახეთის ეპარხიის სანთლის საწყობიდან მოაქვსო. რაჟა და ლენხუმის სამღვდლოებას აღბათ ვლადი-კავასიდან მოაქვსო!..

წინეთ როცა „ძველებურად, ჩვენებურად“ განაგებდნენ სანთლის საწყობის საქმეს ბუქას პოდრიაფიკობის დროს ასევე მართლულობდნენ თავს სანთლის მცირე

ვაქრობის დროს, მაგრამ მოულოდნელმა რვეიზიამ სანთლის ქარხანაში აღმოაჩინა სანთელი, რომელიც ცალკე იყიდებოდა და ფულები ამ სანთლის ანგარიშს აკლდებოდა. უნდა ნახოთ ამ საქმის შესახებ კანცელარიაში მიწერ-მოწერა და შეიტყოთ ნეტარ ხსენებული გაბრიელის ფიცხელი განკარგულება. დღეს ეს არ მიგვანია შესაძლებელად; ადვილი შესაძლებელია რომლიმე კრებული და სტაროსტა ჩადიოდეს მის, მაგრამ ის არა მჯერა, რომ სხვა ქარხნებში მიდიოდნენ და ყიდულობდნენ სანთელს...

1896/7 წლებში 770 ფუთამდე იყიდებოდა ჩამოსხმული სანთელი და ესლა ათი წლის გასვლის შემდეგ როცა, სხვა ეპარხიებში სანთლის ყიდვა უფრო მატულობს, იმერეთის ეპარქიაში ასი ფუთით ნაკლები გაიყიდებოთ! ჰაი ჰაი! ცილის წამებს და სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს, შორს ვერ წავა. საწყობის მმართველს ესხოვ გამოაცხადოს საქვეყნოთ ანგარიში იმერეთის ეპარქიაში, რომელმაც ეკლესიამ რამდენი მიაქვს სანთელი ყოველწლობით? მაგრამ ამისთანა ანგარიშის მოცემას ის, ვგონებ, ვერ შესძლებს. და აი აქ არის ძალის თავი დამარხული. დიდი ხანია რაც ჩვენ ურჩევთ სამღვდლოებას და სანთლის განმეოთ, რომ ცხადი იყოს ყველასათვის თუ რამდენი სანთელი მიაქვთ სახელდობრ თითოეულ ეკლესიას, მაგრამ ეს არ მოხერხდა და არა...

ერთ კრებაზე კითხვა აღიძრა სანთლის წარმოების რვეიზორების კომიტეტის დანიშვნაზე, ყოვლად სამღვდლო ლეონიდის დროს. დასახელეს პირველად დეკანოზი ღამბაშიძე, მღვდელი შანიძე და ერთი კიდევ ვილაცა, აღარ მახსოვს. დეკანოზმა და ღამბაშიძემ განაცხადო, რომ ის დადგება რვეიზიის კომიტეტის თავმჯდომარედ თუ სამღვდლოება ეხლავე განსაზღვრავს მის უფლებას. მე მსურს, რომ უფლებმა მქონდეს როცა სანთლის წარმოების საქმეში შეგნიშნავთ ცუდ საქციელს დაუყონებლივ ცუდი მოქმედება შევწყვიტოთ, ამასთან შეგვეძლოს ყოველ დროს რვეიზიის მოხდენა და დასასრულ არავის არ ექნეს უფლება სანთლის საწყობის ფულების დახარჯვისა, ან გაესხებინა და ჩუქმბისა სანამ სამღვდლოების კრების გარდაწყვეტილება არ იქნება სანთლის ფულების დახარჯვაზე. თუ ეს არ დაადგინეთ და არ დამავალეთ რა უნდა



X

მწარი ფიქრები.

გვაკეთო მე ან სხვამ ხარჯის ციფრები რომ შევამოწმოთ მარტო? რა გამოვა აქედან? ამ სიტყვებზე ზოგიერთი ბ ტანები, რომელთაც გაუტყბათ გემო სანთლის ფულებისა შეხტენ და დაიწყებს ყვირილი: ეგ თუ დადგა სანთლის საწყობის რევიზორად იქიდან ფულებს ვეღარ გამოიტანთო. დიდმა ბლალაჩინმა იუსტიკინე ტაბიძემ, რომელსაც ნათესაობითი კავშირი აქვს ჰეიშვილებთან, ფოფხაძეებთან, ფხაკაძეებთან და ლეკვეიშვილებთან კლიაუზური ქალაქი შეიტანა კრების თავმჯდომარესთან და განუცხადა, რომ იგი საზარალოდ ხედავს მის დანიშნას რევიზორად სანთლის საწყობისთვის. თვითონ კი ამხანაგებით ჯილდოს ითხოვდნენ სამღვდლოებისაგან ნაყოფიერი სამსახურისთვის. ნაყოფიერ და სხსარგებლო სამსახურად სთვლიდნენ, რომ ბევრი ფულეები გაასესხეს მათ რევიზორობის დროს სანთლის საწყობიდან. დღეს სანთლის საწყობს 5000 მანეთამდე გავასხებული ფულეები აქვს და სამღვდლოებას მისი ჯამაგირებიდან ვრცხება სასწავლებლის ხარჯები მეორე დღეს კრება ღამბაშიძესთან დანიშნა კიდევ რევიზორებად მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მღვდელი ამ. ფოფხაძე. რატომ? იმისთვის რომ ხელი შეეშალათ ღამბაშიძისათვის. განჩინებაში სრულებით არ იყო ის დაწერილი რაც მოითხოვა ღამბაშიძემ. მან ამისათვის სრულებით თავი დაანება რევიზორობას. შემდეგში რევიზორათაც და საწყობის გამგეთაც ჩვენ ვხედავდით ამ. ფოფხაძეს ფოფხაძის მრევლში საწყობის გამგეს...

მადლობა ღმერთს რომ დღეს ისეთი მღვდელი მთავარი ბრძანდება, რომ ისე ადილოდ ვერაფერს გაიტანს ფულს საწყობიდან, თორემ ამ რევიზორების იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს. დღეს მხოლოდ ახდევინებენ გატანილ ფულებს, თორემ წინეთ არავის არავისთვის მოუთხოვიათ...

(გაგრძელება იქნება.)

დასწრე.

ერთი საზიზლარი, ველურ კაცთა-მიმართლუების გაზეთი გამოდის პეტერბურღში. რედაქტორი ამ გაზეთისა არის ვინმე სუვორონი. რუსეთის სახელმწიფოში რა საძაგლობაც უნდა ჩაიდინოს კაცმა კრინტს არ დასძრავს, მაგრამ თუ რამე შენიშნა სპარსეთშიან სათათრეთში მოდგება და ერთ ალიქოტს შექმნის. აი რასა ბეჭდავს შაჰის ჯარის მოქმედებაზე

შაჰის ჯარის მსვენობა.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება ჯულფიდან: „10 თებერვალს დილის 10 საათიდან რახინ-ხანისა და სამედ-ხანის რაზმებმა იერიში მიიტანეს რევოლიუციონერებზე, რომლებიც გამაგრებული იყვნენ თავიზის გზაზე სადგურის პირდაპირ, ქლაქ საფიანიდან 2 ვერსის მანძილზე. საფიანის მცხოვრებნი გაიქცნენ ქალ. მარანდაში. შუადღის დროს მთავრობის ჯარმა წრე შემოავლო 50 ქართველი ყუბარის მსროლელს, რომლებიც სადგურს ახლო იდგნენ. გამხეტებულმა ჯარისკაცებმა აღქვე გაწყვეტეს ქართვლები, ხოლო მთვან ნაწილი დაატყვევეს იმ აზრით, რომ მათაც მხეცურად აუგონ ანდერძი. რევოლიუციონერებმა ვერ გაუძლეს მთავრობის ჯარის ძლიერ იერიშს და სადგურისაკენ დაიხიეს. მთავრობის ჯარმა წვიმასავით დაუშინა ტყვია სადგურის შენობებს, ამელის მდგმურები აქეთ იქით კუთხეებში დაიმაღლნენ. ნაშუადღევს 1 საათზე რევოლიუციონერებმა ვეღარ შესძლეს გამაგრება და გაიქცნენ ვისაც სათი შეეძლოთ: გზა მოუფენილი ყარ მოკლულ და დაქორღ რევოლიუციონერებით; ყარადღულ ცხენოსნების ორი რაზმი მალე მოეწია გაქცეულებს ორ ადგილას და თითქმის 20 ვერსის სიგრძეზე მთავრობის ჯარი ძარცვავდა და თაფთთა ხერტედა მშვილობიან მცხოვრებლებს. ნაშუადღევს სამ საათზე ყარადღელებმა დაასრულეს ხოცვა-ჟლეტა და შეცივიდნენ სადგურ სელვანში, გაცარცვეს დარაჯები, ტანისამოსიც კი გაჰხადეს, ყველაფერი წაიღეს, რაც კი სადგურში იპოვებოდა, და ისევ საფიანში დაბრუნდნენ, სადც ქალაქის ძარცვას მიჰყვებ ხელი.

სამედ-ხანი, რომელიც ბეჯითად თრგუნავს ადერ



ბეჯანის ანარქიას, მომხრე კონსტიტუციისა და რეფორმებისა, მაგრამ ამავე დროს საშინელი მტერია ანარქისტებისა და ეზიზღება სომეხები და ქართველები, რომლებსაც სთვლის უმთავრეს მიზნად სპარსეთის ანარქიისა, ამიტომ იგი მეტად უღიარად ექცევა ტყვე სომეხებსა და ქართველებს. საჭიროა დაუმატოთ, რომ იგი თავის ჯარისკეცებს ნებას აძლევს მშვიდობიან ხალხის ცარცისა და ხოცვისას“.

ხომ გაიგეთ მკითხველო რა უღიერობა ჩაუდენია შაჰის ჯარს? როცა დასწევია ყუმბარის მსროლელებს ქართველ და სომხის ტომის კაცებს ჩხუბში ყველანი მოუკლავთ! მერმე მშვიდობიანი დაუცარცავთ. ეს უკვირს სუვორინს, რომ შაჰის ჯარს ყუმბარის მსროლეები მოუკლავსთ და მშვიდობიანი ხალხი დაუბრველიათ და გაუცარცავთ! ისე გაკვირვებით სწერს ამას, რომ რუსეთში ვითომ ამისი მსგავსი არასოდეს არ მომხდარიყოს. ჩვენ არა გვეჯერა, რომ სადმე დედამიწაზე მომხდარიყოს იმის მსგავსი რაც ჩვენ ვნახეთ ჩვენში და ვიხილეთ. ჩვენში ვინ იბრძოდა.? კატებისა და ძაღლების მეტი არავე ყოფილა იქ სადაც იარაღებით და ტყიის მფრტვეველ ზარბაზნებით მიდიოდნენ. პირველი იერიში უნდა მიეტანათ სურამის ქედის სიახლოვეს. დილით ხალხი მოვიდა და დანჯირებულ პურმარლი და ღვინო მიართვა ჯარს, ასე ხვდებოდნენ ყველგან. ყვირილაში შეესიენ მშვიდობიანი ხალხის დუქნებს, დაღწეეს კარები, რისაც წადება შეიძლებოდა წაიღეს და მერე ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს ყოლიფერი! სამი დღე და დამეკიდა ცეცხლი ჯარის კაცებისაგან, რომელსაც წინ დაუძღოდა „ქრისტეს მოყვარის“ ჯარის აფიცრები და როგორც უბრძანებდნენ ისე იქცეოდნენ ჯარის კაცებიც. ხალხმა მიატოვა სკულელები დუქნები, სახლ-კარი და მთაში ვარბოდა. არ იკითხავთ როგორი ხალხი ვარბოდა? იმისთანა ხალხი, რომელსაც ერთგულების მეტი მთავრობის წინააღმდეგ არა ჩაუდენიათ. სპარსელმა, რომ ქართველი და სომეხი მოკლას ეს რა გასაკვირველია? მაგრამ ის არის გაუგებარი, რომ ორი ძმები ხორციით და სარწმუნოებით ასე გაუგებლად ჟღერდა ერთი მეორეს. სად არის ამისთანა ძაღომობრვე კაცებში ქრისტიანობა? ესენი ქრისტიანები კი არა პირ-და-პირ

ველური მხეცობა და არავითარი სარწმუნოება მათში არ არის. თათრების და სპარსეთის ჯარის კაცი იქნობამდის არ დეცემა სულით, რომ თავიანთ ერთ მორწმუნე ისე გაიმეტონ და ისე მხეცურად მოექცენ როგორც ამას ჩვენში ქრისტიანები ჩადიან თათრმა და სპარსმა შეიძლება წაგართვას რამე, მაგრამ ცეცხლს არ მოგაკიდებს და არც მოგკლავს თუ თვითონ არ შეგებები.

სვირის სადგურის ახლოს ერთი მცდლქენე იყო, ვაჭრობდა. დამსჯელი რაზმი მოვიდა. შევიდა დუქანში ერთი. მობართვა პურ-ღვინო. „დავაი დენგა!“ აიღო საკოდგამი 600 მ. მისცა. დადეროჯა: შენი ქირიმე, ნუ, ნუ მომკლავ! ესროლა და დასცა! მერე ცეცხლი მოუკიდა და მთლათ გადაწვა დუქანი.. რა არის ეს მოქმედება? იქონიეთ სახეში ეს მცდლქენე ანარქისტი კი არ ყოფილა, არამედ მშვიდობიანი კაცი იყო და ორგანზაციის უმივიით ეშინოდა.

როცა დამსჯელი რაზმების დაზავენა მოხსენდა ხელმწიფეს მან ბრძანა: „მშვიდობიან ხალხს ანსად არავან არა ზანს-რა, უოგეჟს აჯეიჯას მათ დახმარება გაწვიან და დაიფარან. მისთანა დახმარება შენს მტერს გაუწვი, ჩემო მკითხველო, როგორისთანა დახმარება მათ გაუწვიეს მშვიდობიან ხალხს!.. ორგანზაციის ხალხს რა ჯანაბას წაართმევენ და ან სად ნახებდენ? მათი ჯავრი მშვიდობიან ხალხზე ამოიყარეს. ხალხი ორ ცეცხლ შუა იყო ჩავარდლი. სანამ ჰქონდათ რამე „ორგანზაციამ“ არ შეარჩინა. მართებლობის გამოგზავნილმა კაცებმა რაც ჰქონდათ დარჩენილი სულ წაართვა და ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს. სად ბრძანდებოდა სუვორინი, რომ ამაზე არაფერი კრინტი არ დასძრა?..

ყველამ იცის თუ რა მოხდა იმპერატორის ნიკოლაჲ პირველის გამეფების დროს. მემკვიდრედ ალექსანდრე პირველი მემფობის დროს იყო იმ პირველი შვილი კონსტანტინე. ალექსანდრე პირველი გარდაიცვალა ტადანროგში, როგორც შეიტყვეს თუ არა პეტერბურღში ალექსანდრე პირველის გარდაცვალება იმავე დღეს შეფიცეს მემკვიდრეს კონსტანტინეს ერთგულებაზე. მოვიდა მეორე ბრძანება. მემკვიდრეობა ეკუთვნის კონსტანტინეს უნცროს ძმას ნიკოლოზსო, რადგან პოლონელი ქალი შეერთო მემკვიდრემო. ეს ანდრეა მიტროპოლი-



ტის ფილარეტისაგან იყო დაწერილი და იმანაც პირველად შეჭვითა ერთგულებაზე კონსტანტინეს!.. მოხდა აჯანჯება ჯარში თვითონ ჰეტერბულში და დიდი სისხლი დაიღვრა. ხელმწიფემ ნიკოლოზ პირველმა ბრძანა: დამნაშავენი სასტიკად დასაჯეთ, მაგრამ მშვიდობიანი ხალხის მდგომარეობა უზრუნველი იყოს. დამნაშავეებს მართლა სასტიკი დასჯიდა. და მშვიდობიანი ყველგან მშობლივით იყვნენ... ჩვენ დროში კი დამნაშავენი ბლომათ დაბრძანდებიან, მაგრამ მშვიდობიან ხალხს ბევრს ადგლისა დიდი უბედურება დაატყდა თავს. ამაში ბრალი უდევს უმეტესად ხალხის გამეჭ პირებს. თუ მართებლობამ არ გასწმინდა თვითონ მოხელეები ხალხის უბედურ მდგომარეობას დასასრული არ ექნება და არა თუ სახელმწიფო სათათბირო, არამედ არც ერთი უკეთესი მმართველ-გამგეობაც არა ვითარ კეთილ ცვლილებას არ თქმნის.

* *

რა ტყვილა ატყუებენ გაზეთები მკითხველებს ომიანობის მოლოდინით ავსტრიასა და სერბიას შორის. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ სერბიის დამიკრებას რუსეთი არ მოითმენს და ავსტრიას არ მისცემს ნებას ბონნია და გერცოგოვინა დაისაკუთროსო. ჩვენ გვგონია, რომ რუსეთი სრულებით არავის გასცემს ხმას მთლათ მთელი ბალკანეთიც, რომ დაიპყრონ არა თუ მარტო ბონნია და გერცოგოვინა

* *

ახლა განკარგულა სასულაერო უწყებაში. სამღვდლოებას დაავალეს, რომ ოთხ-ოთხ თვეში წარადგინონ ცნობანი: რამდენი დაიბადა მამრის და რამდენი—მდედრის სქესისა. აგრეთვე წამდელი ცნობანი თუ რამდენი გარდაიცვალა მამრის სქესისა ან რამდენი მდედრისა. აგრეთვე ითხოვება ცნობანი თუ რამდენი გადავიდა სხვა სარწმუნოებაზე მართლ მაიდლებელი და რამდენი გადმოვიდნენ ჩვენ სარწმუნოებაზე. ეს ცნობა ალბათ ძლიერ საჭიროა იანსაკუთრებით ტრუხმეცების შესახებ. საჭიროა გაიცნოს ხალხი მრავლდებოა თუ ამასთან სარწმუნეობის თავისუფლება სურს ჰურიშკევიჩის და მის დამკავებს მოსკონ და შეიძლება კიდევ მოისპოს ეს თავისუფლება.

სოფ. ხუცასა.

სახალგაზრო სათათბირო

კავკასიის შკეათხვა

ნამესტნიკის თანაშემწე მიტკევიჩი.

მიტკევიჩმა 4 თებერვალ სვანაგრძო თავის სიტყვა. მან სტკვა: რაც შეეხება რკინის გზის გამო-რიცხულ მოსამახურების უკან მიღებას, ეს მოხდა გზათა მინისტრის განკარგულებით, თანხმად ადგილობრივ რკინის გზის სამართველოს გამოძიებისათითოეულ პირის შესახებ. იმ გამოძიებაში მონაწილეობას იღებდა ენდამი სამართველოს წარმომადგენელიო. შემდეგ მიტკევიჩი შეეხო ხასამელოვის შენიშვნებს მამადიანთა შევიწროვების შესახებ სარწმუნოების საქმეში და სტკვა, რომ ამ შემთხვევაში დეპუტატებმა უნდა ისარგებლონ კანონმდებლობითი უფლებით; მიუხედავად ერობის უქონლობისა, ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ივწყებს ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებებს: სკოლებს და სახადმყოფობებს; სცილობს აუხახეთში მიწის მოწეს-რიგებას; აძლევს მიწას ადგილობრივ მცხოვრებთაც. გაიდაროვის შენიშვნების შესახებ სტკვა, რომ მიიღოთა მდგომარეობის გამო. სარკვევად და მიწით უზრუნველ-საკუთრებლად ზომება მიღებულიო.. შემდეგ შეეხო მარკოვ მეორის სიტყვას და სტკვა, რომ შავის-ქვის მრეწველთა კრების რევიზია უკვე სწარმოებო. კახანალიოვის საქმის შესახებ განაცხადა, რომ გამოძიებამ საშიში არ გამოაშკარავაო. უმართლოა საყვედური ნამესტნიკის შესახებ, ვითომ ტერორისტულ საქმეებს იგი რბილად ეკიდებოდა. განაწენებს ამ საქმეთა შესახებ ამტკიცებენ გენერალ-გუბერნატორთა და არა ნამესტნიკიო. არ არის მართალი ისიც, ვითომ ნამესტნიკი არ თანაუგრძობდეს მოკლულ მოსამახურეთა ოჯახებს. მართალია 500 თოფი დაურიგდა რუსს და ქართველ მუშებს, რომ ჯარის არ ყოფნის დროს გაემარგებნათ „პოსტები“ და შესაძლებელი გახდა მოეხსოთ თათარ სომეხთა შეტაკება 250 თოფი უკან დააბრუნესო. დასასრულ, მიტკევიჩმა უარ-ჰყო მარკოვ მეორის ნათქვამი, ვითომ ნამესტნიკი პოლიციის გასაძლიერებლად გადადებულ ფულს თავის დანიშნულებას არ ახმარებდეს სტაროსელსკის საქმის შესახებ ყველაფერი შინაგან სა-



ქმეთა სამინისტროს ეცნობა. სიტყვა მიცვენიშა იმითი გაათავა, რომ სიმშვიდეა კავკასიაში.

სამოსდოვსკი. (უკიდურესი შემარჯვენე). ორატორმა მოიყვანა ცნობები სომეხთა სინოდის ობერპროკურორის მოხსენებიდან 1905 წ. და აღნიშნა მტრული განწყობილება სომეხთა სამღვდლოებისა და მარტო მთავრობისადმი, არამედ რუსეთისადმი საერთოდ (ხაურობა მარცხნივ). ორატორი დიდ ხანს შეჩერდა მიწის მოწეს-რიგების პოლიტიკაზე კავკასიაში. რუსების გადასახლების საქმე შეუფერხებელია, რადგან რუსების მაგივრად ოსმალეთიდან გადმოხვეწილ მოხმებს ასახლებენო. შემდეგ კერძო კიტატები მოიყვანა ექმიანების სინოდის ობერპროკურორის მოხსენებიდან. ძლიერ სამწუხაროა, რომ სომხის სამღვდლოება მონაწილეობას იღებს რევოლიუციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლიუცია ეროვნულ ნიადაგზე და ფეხს იკიდებს ხალხში. დასამტკიცებლად კავკასიის აღმინისტრაციის ქურდობისა, ორატორმა მოიყვანა ქალაქ ფოთის სესხი. ეს სესხი მოაწყო ფოთის ქალაქის თავმა ნიკოლაძემ ნამესტნიკის კანცელარიის დახმარებით, ბატონ ნიკოლაძის მამულების (ზღვის რიყის) სასყიდლადაო. შემდეგ ორატორმა შეადარა ფილიანდისა და კავკასიის მოძრაობა და სთქვა იარაღით საფეხ გემი სახელად ჯონ-კრატონი, რომელიც მიჰქრდა ფილიანდიაში დაიღუპა ამწარივე გემი, დატვირთული იარაღით იაპონიის ავენტის ატაშის ხარჯზე, მიაღვა კავკასიას. ტყულად კი არ შეადარა შინაგან საქმეთა მინისტრის ახსნაგმა მაკაროვმა ფილიანდის „ვოიმა“ და კავკასიელ დაშნაკელების მოქმედება და მით აგვიხილა თვალისებლა კი გვესმის ისეთი განმატება შეკითხვაზე, რომელიც არაფერს არა ჰვავს, რადგან არც ერთი ბრალდებული არ ეცდება რომ თავისი თავი თვითონ დაიხრჩოს. მხოლოდ მაშინ მოისპობა რევოლიუცია კავკასიაში, როცა მისი დამწყები კავკასიაში ადგილიდან გადაყენებული იქნება; მხოლოდ მაშინ მოგვეცემა საშუალება ფარად ავახლოთ კავკასიის სინამდილეს. აქ ჩვენ გვწოდებან ცნობას, რომელიც ქეშმარიტებასა არ შეეფერება და გვეუბნებიან, ცილსა გვწამებთო, თქვენ ღირსი არა ხართ იმათ ფეხსაცმელს თასმა გაუხსნათო, ეს შეუწყნარებელია. თუ თქვენ მიიღებთ იმ რეზოლიციას,

რომელსაც ჩვენ წარმოგიდგენთ, ეს ამაღველებელი ფაქტები მოისპობა (ტაში მარჯვნივ).

ფალომირსკი (უკიდურესი შემარჯვენე) ორატორი შეეცაბა ბარონ ნოლდეს: ნუ თუ ზღაპარი იარაღის მიცემა მეუფებისადმი, სტაროსელსკის გუბერნატორად დანიშვნა, ექსარხოსის ნიკონის მოკვლა და სხვაო. ორატორმა გაჰკიცხა მოქმედება ნამესტნიკის დიდ თანამოსამსახურეებისა და სთქვა, წარმოდგენელია იმაზე აშკარა ქურდობა ხაზინისა, რომელსაც სჩადის პეტერსონიო. ჯუნკოვსკის ადგილი გადაიქცა სომხების რწმუნებულის ადგილად ნამესტნიკთან (ტაში მარჯვნივ). როდესაც შიშნარა ჩინოვიჩევის და კავკასიის დამარღვეველ „ინოროდცემი“—ს ადგოს დაიჭურენ კავკასიის აღმინისტრაციაში ერთგული რუსები, თავგანწირულნი სახელმწიფოს დამცველნი, როდესაც ეხლანდელ სუსტ და ლიბერალურ მთავრობის მაგიერ იქნება სასტიკი, ნაციონალურის მისწრაფებით გაუღენთილი მთავრობა—მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, რომ კავკასია დამშვიდება და ხელ-მეორედ დასაბრობი აღარ იქნება (ხმები მარჯვნივ „ნამდილია“)

ამ ორატორების სიტყვებით დამთვრდა ოთხი თებერვლის სხდომა, შემდეგი სხდომა მოხდა მეორედღეს, 5 თებერვალს. ამ სხდომაზე სათათბირომ მიიღო ათიოდე წვრილმანი კანონ-პროექტი და შემდეგ კვლავ განაგრძო კამათი კავკასიის შეკითხვის შესახებ.

გეგუჭუჩოა. ორატორი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კავკასიის აღმინისტრაციას მექრთამეობა დააბრალდოს, რადგან მისი აზრით ეს ბრალი დაედებო მთელ რუსეთის იმპერიის აღმინისტრაციას, მაგრამ არას დროს არ შეიძლება იმისი თქმა, ვითომ კავკასიის აღმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდეს რევოლიუციის დათრგუნვასო. სასტიკ ღონისძიების მიღებით კავკასიის აღმინისტრაცია საზღვარს გადაიდა: ამას ცხადად ჰმოწმობს მთელი კავკასია, რომელიც წარმოადგენს აკლები-აწიოვების სრულს სურათს, კავკასიელ ერთა სებარატინში (მისწრაფება განცვილკეებისადმი)—არის მარკოვ მე-2-ის იდეუცია; იგი სებარატინს ჰხედენს თვით შეიქვის მიწვეულთა საბჭოს წმინდა განმანათლებელ მოღვაწეობაშიაც კი. ტყუილ-უბრალოდ სცდილობს მარკოვი საბჭოს თავსმჯდომარის ზდანოვიჩის შეურაცყოფას. დიხ, ზდანოვიჩი იყო კატარგაში,



მაგრამ არა „პროგრამების“ გულისთვის, არამედ იმისთვის, რომ იგი ემსახურებოდა ხალხის განთავისუფლების საქმეს. კანონ-პროექტი ქალ. ფოთის სასარგებლოდ საფუთო გადასახადს შესახებ საფინანსო კომისიამ მიიღო მარკოვ მე-2ის დახმარებით. მაშასადამე, თუ დაეუკერებთ ზამისლოვსკის, რომელიც ირწმუნება, რომ ეს კანონ-პროექტი იქნება რომ მარკოვი მეორეც არ გარჯილა უნდაგროდ, ორატორმა მიჰმართა მემარჯვენეთ და ასე დაასრულა თავისი სიტყვა; თქვენი ენერგია, რომელსაც ახმარებთ შოვინისტურ პროპაგანდას, მოიტანს კარგს ნყოფს: კავკასიელი ნაციონალისტები გიყვებიან ესთა, თუ რომელი კლასისისგან უნდა ჰქონდეთ მათ დახმარების იმედი. მხოლოდ მშრომელი ხალხები ინტერესების სოლიდარობა როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში, მოუღებს ბოლოს. თქვენ არც საერთო სახელმწიფო ინტერესებს, იცავთ, არც ამიერ-კავკასიის რუსთა ინტერესებს, რადგან იქაურ რუსებს თქვენთვის რწმუნება არ მოუცილთ ამიერ-კავკასიის რუსობა უარს ამბობს ტიმოშინ-ზე (ხმაურობა მარჯვნივ). თავმჯდომარემ შეაჩერა ორატორი. გეგეკქორმა, წიკითხა ქუთაისიდან მიღებული დებემა, რომელშიაც რუსთა ჯგუფი პროტესტს აცხადებს პურიშკევიჩის წინააღმდეგ და განაგრძობს: დროა, ბატონებო, შეჩერდეთ და ბოროტად აღარ ისარგებლოთ რუსის ხალხის სახელით; დროა ხელი აიღოთ საზიზღარ ცილის წამების გავრცელებასზე, ვითომ რუსის ხალხი მოთხოვრებს სიკვდილით დასჯას და კავკასიელ ერთა ბუნებრივ და კანონიერ მოთხოვნათა დათრუვნას დაჰკრავს საათი, როდესაც სრულიად რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა შეიგნებენ თავიანთ ისტორიულ დანიშნულებას — რუსეთის აღორძინებისა და განახლებისას და ბოლოს მოუღებს თქვენ კაცობოძულე საქციელებს და პროვოკატორობას (ტაში).

განაუმა ბოზბინსკამ მეორემ (ზომიერი მემარჯვენე) სიტყვა: თავ მინებებულ, მაგრამ კავკასიის საქმეთა მოსაწყსრივებლად საჭიროა მეტად სერიოზული კანონმდებლობა (მარჯვნივ იძახიან: ვაშა) იმ შფოთის შესაგნებად, უნდა დაეუკერდეთ მის მიზეზებს. არეულობა კავკასიაში გაძლიერდა იმ დროს, როცა ბრავ ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ არ

იყო დანიშნული ნამესტნიკად კავკასიის არეულობაში სრულ განვითარებამდე მიადწია ჯერ კიდევ იმ რეჟიმის ბატონობის დროს, რომლის აღდგენასაც ცდილობენ შვეითების ავტორები. ის ცნობებიც რომლებიც დებუტატ ზამისლოვსკის მიუღია ემინიხინის სინოდის პროკურორისგან, ეკუთვნიან აგრეთვე იმ დროს, როდესაც ვორონცოვ-დაშკოვი ჯერ არ იყო ნამესტნიკად. ზამისლოვსკიმ გვიამბო, რომ ამ პროკურორმა მოახსენა სხვათა შესახებ, მაგრამ ნამესტნიკმა არაფერი არ გააჩივრა, მაგრამ მხოლოდ იმით, რომ მამან ჯერ არ იყო ნამესტნიკად ჯერ ფიქრადაც არავის მოსდოდა მისი გამწყვობა ნამესტნიკად. ამ პროკურორის გვარი ფენეკელია. იგი სამსახურიდან გადააყენეს მუქარით ფულის დატყუებისათვის; რუსის პროკურატურის კორპორაციაში არ მიიღო ფრენკელი და ბოლოს იგი როგორც იყო საპატიმროთა უწყებაში გააშუქეს, ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა შეხედოთ გადაყენებულ მოხელეთა მიერ გამოგზავნილ ცნობებს (ტაშისცემა მარცხნივ). ლადომირსკიმ ნამესტნიკს თითქმის ის ბრალიც კი დასდო, რომ მან ხელი შეუწყო დუშეთის ექსპროპრიაციასო, მისი მონაწილენი საზოგადო სამართალში მისცაო, მაგრამ ლადომირსკის ის აღარ სცოდნია, რომ დუშეთის ექსპროპრიაციის მონაწილენი შვეიცარიამ მხოლოდ იმ პირობით მისცა რუსეთს ხელში, რომ ისინი ჩვეულებრივ სამართლით გაესამართლებინა. დაწაქციუტიუნისტ პარტია, სომეხთა საეკლესიო მამულების დაბრუნების შემდეგ, დღე და დღე ჰკარავს თავის რევოლიუციონურ ხსიათს: აბა დააკვირდით ჩვენს საყვარელს, კარგა ამხანაგს დებუტატს საგათელიანს და დინახავთ იმ კეთილს ცვლილებას, რომელიც განიცადა დაწაქციუტიუნის პარტიამ (სიცილი, ხმაურობა, ტაშისცემა) წარსულწელსაც ახალ ქათალიკოსის არჩევამ ცხადად დაამტკიცა, რომ რევოლიუციონურ ელემენტებს სომეხთა შორის არავითარ მნიშვნელობა აღარა ჰქონიათ. კავკასიის არეულობის მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ წარსულში რუსეთი ვრ მისდევდა იქ სისტემატიურ კანონის შესაფერ პოლიტიკას. ეს წინანდელი ცოდეა ხეცება ეხლა ნამესტნიკსაც და ჩვენცა. არის მრავალი სხვა მიზეზიც: ამიერ-კავკასიაში ბატონყობის და დროებით-ვალდებულ გლეხობის არსებობაცა სხვა-ამას გარდა, კავკასიაში



მეტად ცუდი გზებია, ცუდადაა მოწყობილი სავაჭარო-ვადასახდებისა და სახალხო განათლების საქმე, რუსული სკოლა სრულიად დამარცხდა კავკასიაში მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდათ იგი განსაკუთრებით რუსულ სკოლად გადაექციათ, როდესაც იგი უნდა იყოს იმავე დროს მკვიდრთა სკოლაც. ყველაფერი რუსული დაიღუპა კავკასიაში იმ სახიზნარ წესებისგან, რომელსაც იცავენ უკიდურესი მემარჯვენი; რუსის ხალხის მიზანია—თითონაც იტოცხლოს და სხვაც აიტოცხლოს. კავკასიის არეულობის ძირითადი მიზეზი სულაც არაა თითონ ნაემსტნიკი, თუმცა მან რამდენიმე შეცდომაც ჩაიდინა, მაგალითად სტაროსელსკის საქმეში. მეც იმ აზრისა ვარ, რომ კავკასიისთვის საჭიროა სენატორის რევიზია, მით უმეტეს რომ ამ რევიზიას ბეჯითად თხოულობს თითონ ნაემსტნიკიც, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ საკანონმდებლო მუშაობას, რომელიც წესიერ კლასობრივ უნდა ჩააყენოს კავკასიის ცხოვრება, ამისათვის საჭიროა ავირჩიოთ პატარა კომისია, რომელიც განსაკუთრებით შეუღლებება კანონპროექტების გრაჩევას კავკასიის შესახებ. დაე, კავკასიის მკვიდრმა ერებმაც შეიერთონ და გააჩიონ, რას ამბობს რას ჰევიტობს და როგორა გრძნობს რუსის ერი (ძლიერი ტაშისცემა ცენტრში და მარცხნივ, სტეფნა მარჯვნივ.

პურიშკევიჩი. ორატორმა სთქვა, რომ ბობრინსკიმ სიტყვა მშვენიერად დაახასიათა მემარჯვენეების ტაშის ცემითაო. მე არა მშურს ეს ტაში, და ამიტომ პასუხს არ გავცემ ბობრინსკის, რომელიც აკადემიკოსი წყევითხა კავკასიის ნაემსტნიკს. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიელებისთვის ისეთი მმართველია, რომელიც მათ მოქმედებს ხელს არ უშლის და რომელიც დატოვებულ უნდა იქნას კავკასიაში. ჩვენი შეკითხვის ზედგავლენით მოხდა ის, რომ მემარჯვენეთა დაუწყებს ნაემსტნიკს საყვედური, ნაემსტნიკის პოლიტიკა არაფრით არ გაიჩნება მისი წინა მოადგილეების პოლიტიკისაგანაო. როდესაც ჩვენ დავანახებთ, რომ კავკასია რუსების სისხლის გუბეს წარმოადგენს, ბან ჩვიქემ, გეგეკორომ და სხვებმა წყალი გადაასხეს ამ სისხლის გუბეს რომ უფერულად გეგანდნათ ეს გუბე. რა გააკეთა კავკასიის ადმინისტრაციამ, რომ გეგეკარწყლებინა ჩვენი შეკითხვა? ნაემსტნიკმა დიწყყო

მიღება მილოცვებისა, სადაც მე ცილისწამებლათ გამოყავალით. მარამ ვინ უგზავნდა მილოცვებს ნაემსტნიკს? მარტო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიულოცეს, იმ ვახლინ ვაზელინოვისებმა, რომელთაც უნდოდათ ფეს ქვეშ დაგებოდნენ ნაემსტნიკსაო. ორატორს შეუძენია ადრეს-კალენდრები კავკასიის ყველა ქალაქისა და იქიდან ამოწერილ ცნობებით ამტკიცებდა, რომ კავკასიის ქალაქების თვით-მმართველობებში მეტ წილად ადგილობრივი მცხოვრებნი არიანო. რაღა ვასაკვირველიაო, რომ ცნობებს დაეაყენებოდათ სულს დე კავკასიის ადმინისტრაციის ქებათა-ქება შესახებო. ჩემი სიტყვის შემდეგ ნოლდე კავკასიაში წაიღა: საიდანაც კავკასიის ყაზახთა სტანიციის საპატრიო მოხუცად დაბრუნდა მაგრამ გენერალი კოლიუბაიკინი 44 სტანიციის საპატრიო მოხუცად ითვლებოდა; თუ თქვენ შევიდით სინემატეატრებში, ნახამთ, როგორ ვარზიყებოდა ეს გენერალი ყაზახის ქალებს; აქედან დინახამთ, თუ რაში აძლევენ საპატრიო მოხუცობას (სიცილი, ხმაურობა). ერთი საშუალება კიდევ დამოსებნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ ადმინისტრაციისთვის ნდობა გაეოცხადებინათ—ეს სომეხთა სამღვდლოებას უქვეშევრდომილესი ადრესი გახლავთ. სჩანს, რომ კიდევ მაღალი კედელი ყოფილა ჩვენ, მემარჯვენეთა, და ხელმწიფე იმპერატორის შუა რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით და ვთქვით, სცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ თვითმყრებელი ხელმწიფე, მიუხედავად იმისა, რომ ენტოკი ეს სომეხთ-თათართა ყველა ოლქში გაიხსნის მანუკ-ჰოსიტანის (განთავისუფლებულ სომეხთის) ყიფინაო. ამის შემდეგ ორატორი შეგზო სკოლის საქმეს კავკასიაში და სთქვა: სასკოლო საქმე ისე არის დაყენებული, რომ იმისთანა არაფერია იქ, რაც აქ წამოითქვიაო. თავის სიტყვის დასამტკიცებლად ორატორმა განმთავისუფლებულ მოძრაობის ხანიდან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი (ამ დროს ისმოდა ხმა მაღალი ლაპარაკი, ნამეტნად ვე მემარცხენეთა სკამებზე). პურიშკევიჩმა მემარჯვენეებს მიმართა: მე გთხოვთ, ან ყური დამოვიღოთ. მილიუტკოვ, დიკარგე აქედან! (თავმჯდომარე მოლაპარაკებებს სთხოვა კულუარებში წასუსლიყენენ). პურიშკევიჩმა მიმართა მემარცხენეს: თქვენის მხრივ ეს დემონსტრაციაა, მაგრამ მე ვაფურთხებ მას გეგეკარე ადგილიდან: სრულებითაც არ არის

დემონსტრაცია, რომ საინტერესო არ არის თქვენს
ლაპარაკის მოსმენა.

პურიშვევიჩი. მე ველაპარაკები სათათბიროს
ცენტრს და მემარჯვენეებს, მემარცხენეები დემონ-
სტრაციას ახდენენ, რომ არა გაიგონ არა სასიამოვნო

პურიშვევიჩი. მე ველაპარაკები სათათბიროს
ცენტრს და მემარჯვენეებს, მემარცხენეები დემონ-
სტრაციას ახდენენ, რომ არ სასიამოვნო ფაქტები
(ხმაურობა). სანამ არ გაჩუმდებით, მე ტრიბუნა-
ზე მთელი საათები ვიქნები, თქვენვე დასიჯებით!
(პურიშვევიჩმა მემარცხენეებს ზურგი შეაქცია).

ჩხუპე. მემარჯვენეებს დაუცარიელდაო ცილის-
წამების, ჭორების და ინსინუაციების საწყობი. თუ
არ ვარგა კავკასიის ადმინისტრაცია, მაშინ უნდა
დაინარგოს ის მექანიზმი, რომლის ნაწილსაც შეად-
გენს კავკასიის ადმინისტრაცია. ეს ერთი ღირსეუ-
ლი დასკვნაა, რომელიც მემარჯვენეთა სიტყვისა-
გან შეიძლება გამოვიყენოთ რაც შეეხება პური-
შვევიჩს მან თავის სიტყვებით ერთი საკითხი წაიზო-
აყენა: რა უნდა ვუყოთ სათათბიროს იმ წევრს,
რომელიც ავად არის (თავმჯდომარემ გააჩერა
ორატორი). ჩხვიძემ უპასუხა პოვლოვიჩს და შენი-
შნა, რომ კავკასიაში ადგილობრივი მცხოვრებნი
რუსებთან ხელის-ხელ ჩაკიდებულნი მოქმედებდნენ
და მოამაზებოდაც ასე მოიქცევიან, სანამ თავიანთ
მიზანს არ მიახწვენენ. (ტაში მარცხნივ). თქვენ მი-
ერ სენარტიზმის ქადაგება, ბნლო მემარჯვენეთა,
მართლაც იქამდის მიიყვანს საქმეს, რომ ის ჯაჭვი
რომელიც პრემიერ-მინისტრის სიტყვით, აერთებს
რუსეთის ნაწილებს ერთ დღეს ისეთის ხმით გა-
წყდება, რომ დაყრუბასთან ერთად თქვენ დაბრმა-
ვდებით კიდევ (ტაში მარცხნივ). ტყუილად სკდი-
ლობს ტიმოშკინი დამტკიცოს, ვითომ ჩვენ კავ-
კასიელი რუს მოხელეთა წინააღმდეგ მივიღოდეთ
ნუ თუ არ შეუძლიან გაიგოს, რომ ჩვენ ყველა
მოხელეების წინააღმდეგნი ვართ, რუსი იქნება იგი
ქართველი, სომეხი თუ სხვა ტომისა. (ტაში მარ-
ცხნივ). ორატორმა უარ-ჰყო მარჯვ მგორის სი-
ტყვები კავკასიის სენარტიზმი სშესახებ და კავკა-
სიის ერების სახელით განაცხადა, რომ რუსე-
თის დიდება კავკასიის ერების განვითარების ერთი
არსებითი პირობაა) (ტაში მარცხნივ). თქვენთვის
კი, ბნლო მემარჯვენეთა, რუსეთის პროგრესი—
სიკვდილის ნიშანია (მარჯვნივ). „დაიკარგეთ აქე-

დან“! სიცილი, ტაში მემარცხენეებში): რუსის ხა-
ლხის დიდების წინაშე ჩვენ კი არა თქვენ უნდა
გავრთხოთ მიწაზე! (ტაში მარცხნივ). დასასრულ,
ორატორმა შეიტანა ფორმულა. ამ ფორმულაში
ნათქვამია, რომ მემარჯვენეები რვაჯერ გასამარჯ-
ვენებლად სცდილობდნენ ჩვენ შორის უშუღა ჩამოავლენ
და უარყოფილია აგრეთვე შეკითხვა და აღნიშნუ-
ლია კავკასიისთვის საჭირო რეფორმები, ფორმულის
წაკითხვის შემდეგ ორატორმა უპასუხა ბობრინსკის
და შენიშნა, რომ სოციალ.დემოკრატია კი არ
სდგას გადაგვარების გზაზე, არამედ ის წოდება რო-
მელსაც ბობრინსკი ეკუთვნისო.

მაღიუკაფაი. შეკითხვის მიზანი—თავად გოლი-
ცინისა და ვოსტოგოვის პოლიტიკის დაბრუნება!
საჭიროდ არ მიმაჩნია ვრცლად შევეხო შეკითხვის
შინაარსს. მეო, სთქვა მილიუკოვმა, მაკვირებს, რომ
კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ტიმო-
შკინს „ჩვენნი დეპუტატი უწოდა“ ნუ თუ კიდევ
მოიპოვება ისეთი მთავრობა, რომელიც თავის პა-
ტივს სცემდეს და ამვე დროს ერთი ერის წარმო-
მადგენელს თავის დეპუტატად სთვლიდეს, ხოლო
დანარჩენებს „სხვებით“ ნათლავდეს (ტაში მარცხ-
ნივ) ეს „პლიარული“ პოლიტიკაც არ არის, ეს
ძველ-მოსკოლური, ან ქეშმარტი-რუსული პოლიტიკაა
(სიცილი ტაში მარცხნივ, ხმაურობა მარჯვნივ)
მ-ცკევიჩის გამოგზავნა გასამარტებლად დემონსტრა-
ცია იყო. ჩვენ წინ იდგა მოწამე, რომელმაც 30
წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო იმ სის-
ტემაში, რომელიც გამყვებული იყო უზედურ კავ-
კასიაში (თავმჯდომარემ ითხოვა, პიროვნებას ნუ
ცხვებითო). ეხლა, როდესაც მოვესმინეთ კავკასიის
ადმინისტრაციის ამ წარმომადგენელს, მიხვდით,
თუ რადა სთქვა კავკასიის სამესტნიკმა ადგილობ-
რივ ადმინისტრაციას; იგი შეუჩვეველია დაფიქრ-
ბულ; დამოუკიდებელ მუშაობასაო, (სიცილი);
მიჩვეულია მთელი წლების განმავლობაში მარტო
მთავრობის ბრძანების ასრულებასაო (სიცილი).
როდესაც ვვგვევარ კავკასიის ადმინისტრაციის ორ
სხვა და სხვა ჯურის წარმომადგენელის წინაშე,
მ-ცკევიჩისა და (გამოშვებულია მეორე წარმომად-
გენლის გვარი) მართლაც არ ვიცო, რომელი ვამ-
ჯობინო? მაგრამ თუ „ქეშმარტი რუსთა კავშირის“
კანდიდატსა და გრაფ ვორონკოვ-დაშკოვს შორის
ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ, მაშინ ნება მიბოძეთ



ვორონცოვ-დაშკოვს მიეცე უპირატესობა (სიცილი) ვწუხვარ მხოლოდ, რომ შევითხვამ ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ სრულიად დაიწრდილა განა. პირა ქვეყნების პოლიტიკის საკითხი ამ საკითხში მე მზად ვარ ბარონ ნოლდესა და ბობრინსკი. განმატებას ცოტად მინც შეუერთდეთ, მილიუკოვი დიდ ხანს შეჩერდა იმ ბრძოლის ისტორიაზე რომელსაც ეწეოდა მთავრობა კავკასიელიერების წმინდა კულტურულ მისწრაფების წინააღმდეგ (ხმაურობა, ბევრი დეპუტატი გადის სხდომიდან-თავმჯდომარე თხოულობს წესიერება დიციან). კავკასიის პოლიტიკის ისტორიულ ანალოზს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ეს პოლიტიკა ძირიანად უნდა შეიცვალოს ანაირ პოლიტიკის საქირობეა 100 წლის წინადვე იქნა აღიარებული. მოიგონეთ იმპერატორ ალექსანდრე პირველის სიტყვები ანონრივისადმი: „არ დაივიწყეთ, რომ უნდა პატივი სცეთ ამ ხალხის უფლებებს, უნდა შეუფარდეთ მათ ჩვეულებებს, ერთის სიტყვით, ამ ქვეყანას ისე კი არ უნდა უყუროთ, როგორც სასარგებლო შედნას, არამედ ისე, რომ ეს ხალხი თავის ბედნიერებისთვის შემოგვიერთდ“. დასრულა რა ორატორმა შეიტანა ფორმულა, სადაც აღიარებულია, რომ კავკასიის ადმინისტრაციის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი გამოწყეულია კავკასიაში რეაქციის გაძლიერების აზრით და ამ მიზნით სრულიად უსაფულოა კავკასიის ადმინისტრაციის ლიბერალიზა და ადგილობრივ მცხოვრებთა სეპარატიზმი; როგ ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიაში გამოწეული იყო რუსეთის საერობო მდგომარეობით და იმ პირობებით, რომელიც შექმნ მართველობის სისტემამ; რომ ეს სისტემა. რომელიც მიმართულია კავკასიის ერების წმინდა კულტურულ მისწრაფებათა წინააღმდეგ და რომლის მეოხებითაც ადგილობრივ ადმინისტრაციიდან განდევნილი არიან ადგილობრივი მკვიდრნი, მორალურად აშორებდა ადმინისტრაციას და მცხოვრებლებს, ამწვაებდა ნაციონალურ ბრძოლას მცხოვრებთა სხვა-დასხვა ელემენტებში. ბოლოს ფორმულაში აღიარებულია ის ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ კავკასიის მცხოვრებთა მშვიდობიანობას.

ნამესტნიკის თანაშემწე მიტევინი. ყაჩაღობის შესახებ ორატორმა სთქვა, რომ ნამესტნიკმა მიიღო სხვა და სხვა ზომები. შემდეგ მან განაცხადა პასუხს არ გავცემ ზამისლოცისკის ენშიაძინის მონასტერში მომხდარ უწესოებათა შესახებ, რადგან ბობრინსკიმ უკვე გასცა პასუხი. მერე მიცევინი შეეხო ორატორების ნალაპარაკებს და სთქვა, ნამესტნიკის საერთო პოლიტიკაზე არას ვიტყვი. რადგან იგი დაწვრილებით არის აღნიშნული ნამესტნიკის მოხსენებაში.

კამენსკი (ოქტომბრისტი). ორატორმა პასუხი გასცა ბარლესკს, რომელმაც ოქტომბრისტებს უსაყვედურა, ჩუმად რადა ხართ. ჩვენაო, სთქვა კამენსკიმ შევითხვამი დაინტერესებულ დეპუტატებს დაუთმეთ ადგილი თავიანთ აზრის გამოხატეფილად. ამას გარდა, ბევრი ლაპარაკიდან არაფერი გამოვაცენტრი კერძო ჯგუფთა სეპარატიტულ მისწრაფების გამო მთელ ერს ვერ დასდებს ბრალს. უკანასკნელ დროის სამწუხარო ფაქტები აიხსნება პოლიტიკურ აღევებით და მართვა-გამგეობის სისტემით. ამ სისტემამ ვერ მოახერხა შეერთება საუკეთესო და შემომქმედ ძალებისა, რომელთა წრლადნაც გამოვიდნენ რუსის ხალხის გმირები: ქართველი თავადები ბაგრატიონი და ციციშვილი, სომეხი ლორის-მელიქოვი, ბებუთოვი, ლახარევი, ლუკასოვი და, დასასრულ, აღიხანოვ-აგარსკი, რომელიც ყუბმბარის მსხვერპლი გახდაო.

ბოლოს კომენსკიმ წაიკითხა მორიგ საქმეებზე გადასაუღელი შემდეგი ფომულა:

„მოგისმინეთ რა კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელთა განმარტება, რომელმაც არ დავგავმაყოფილა; ვცნობთ რა, რომ კავკასიის მრავალადგილას მშვიდობიან მშრომელ მცხოვრებთა სიციხლედ და ქონება დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი ყაჩაღობისაგან, რომელიც გაძლიერდა როგორც კავკასიის ზოგიერთ ადგილობრივ პირობის გამო, ისე ადგილობრივ ადმინისტრაციისა და პოლიციის უმოქმედობისა და უყურადღებობის მეოხებით; ვფიქრობთ რა, რომ კავკასიაში მომხდარი პოლიტიკური ფაქტები აიხსნება როგორც მთელი იმპერიის გამწვაებულ პოლიტიკურ მდგომარეობით, აგრეთვე კავკასიაში შემოღებულ მმართველობის წესებით; ვბოვებთ რა, რომ ამ ყამად სასურვლია



კავკასიის მმართველობა უფრო მკიდროდ დაუკავშირდეს საზოგადო სახელმწიფო მმართველობას. — სათათბირო სცნობს, რომ მდლდარ, მაგრამ დღემდე თავინებებულ კავკასიის მდგომარეობის გასაუფჯო-აესებლად და მასთან მკიდრო ერთობის აღსადგენად: დანიშნოს სენატორის რევიზია ადგილობრივ მოხელეთა ბოროტნიკმედების ზედმიწევნით გამო-საძიებლად; გამოიცვალნენ, სადაცკი საქირო იქნება, ადგილობრივი მოხელენი, მეტადრე პოლი-ციის მოხელენი; გაუფჯობსდეს საადგილ-მამულო ურთიერთობა. სასამართლო, სახალხო განათლება გადასახლების საქმე, განხორციელდეს სასარგებლო რეფორმები, საქალაქო და საეროზო თვითმმართველობა, დაწესდეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ თითონ განაგონ საკუთარსაქმეები, სამართლიანად მოვეპყრათ მკვიდრ ერთა არსებით ინტერესებს, კავკასიის ყოველ კუთხის განსაკუთრებულ თვისე-ბათა შესაფერისად, და კავკასიის მმართველობა დაექვემდებაროს მინისტრთა საბჭოს. ჰვიქრობს რა, რომ ასეთი რეფორმები შეაერთებენ რუსეთის ერთგულ ადგილობრივ ერთა უმეტებას და ხელს შეუწყობენ ერთიან და განუყოფელ იმპერიის ძლი-ერებისა და სიმკვიდრის განმტკიცებას, სათათბირო შეუდგება მორიგ საქმეთა განხილვას*.

კამათი დასრულდა. სათათბირომ მიიღო ოქტომბ-რისტების ფორმულა ყველას ხმის უმეტესობით წინააღმდეგ პოლონელთა კოლოსი, მშვიდობიან განახლების პარტიისა, კადეტებისა, მუსულმანებისა შრომის ჯგუფისა და სოციალ-დემოკრატებისა.

მაისკოვსკის კირიონი

როგორც უკვე ვწერდით, სტახტო ქალაქის გა-ზეთის სიტყვით, ეპისკოპოს კირიონს სამართალში აძლევენ. ეპ. კირიონს აბრალდებენ თურმე საქარ-თველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის შე-თქმულებაში მონაწილეობის მიღებას. ავრცელებენ ხმას მეორე ეპისკოპოსის, ლეონიდის, სამართალში

მიცემის შესახებაც. იმდენად მოულოდნელი იყო ეს ხმები მოხუც ეპისკოპოსის სამართალში მიცემის შესახებ, რომ გაზეთების წარმომადგენლებმა საქი-როდ დაინახეს შეპკითხბოდენ ქართულ საქმეებ-თან ვაცნობილ პირებს საქირო განმარტების მისაღე-ბად. სხვათა შორის ვაზ. „სლოვოს“ წარმომადგე-ნელი ამ საქმის გამო დეპუტატ გეგეკიკორს შეეცი-თხა. გეგეკიკორმა აი რა უთხრა ამასზე:

„ეს სასტიკი და უმართებულ ბრალდებაა!“ კირიონის სპეტაკი და უმწიკვლო პიროვნება სრუ-ლიად წარმოუდგენელია რაიმე შეთქმულებასთან. მხოლოდ იმის მტრების თავ-დაუტყერელ მისწრაფებას, რომ რამეში ბრალი დასდონ და ჩირქი მოსცხონ კირიონს, შეეძლო ასეთის ბრალდების წამოყენება. აშკარაა, რამაც გამოიწვია ეს ბრალდება. კირიონი ერთი შესანიშნავი პიროვნებაა ქართველ სამღვდე-ლოებაში; ის მედგარი დამცველი იყო საქართვე-ლოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ამასვე იცავდა სინოდშიაც. კირიონს ამას არ აპატიებენ, ვერ დაიფიქსებენ. არც ეხლა დაიწყა მისი დევნა. კირი-ონმა ბევრი დამცირება განიცადა, ხოლო ეხლა ყოველსავე საზღვრს გააცილეს და ვგონებ, ამ საშინელ ბრალდების უსაფუძლოა მალე დამტკიც-დება და გამოაშკარავდება*.

ვაზ. „რჩქ“-შიაც არის ცნობა მოთავსებული კი-რიონის პასუხის გებაში მიცემის შესახებ. გაზეთში ვკითხულობთ; „საეკლესიო წრეებში ძლი-აღდეკებულნი არიან იმ სენსაციონურ ხმით, რომ ტომით ქართველი ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც, როგორც ვუწყით, მოსკოვის საავად-მყოფოდან გადაასახლეს. სამართალში იქნება მი-ცემულია. აბრალდებენ, რომ საქართველოს ეგზარ-ხოსის ნიკონის მოკვლის შეთქმულებაში მონაწი-ლეობა მიიღო. მალე დააბატონებენ მეორე ქარ-თველ მღვდელ-მთავარს, ვითომ და ნიკონის მო-კვლის შეთქმულებაში „მონაწილეს, ეპისკოპოს ლეონიდსაც.“* (,,დროება“).

*) ალბათ კირიონ იხნლა მოგონებს ჩვენ რჩევას. ერთ დროს უჩრევდით, რომ საქართველოს არ მიშორებოდა. მას უმეტესი სარგებლობის მოტანა შეეძლო საქართველოსთვის მაშინაც, რომ ქორ ეპისკოპოსადც დარჩენილიყო სიკვდილამდე ვერ გამოიჩინა მტკიცე ხასიათი და ამით დიდ უსიამოვნებას განიცდის... რედ.

ნათლისღება ძრისტმ მაცხოვრისა.

დღეს იოანე,
დიდი მოშურნე
ღვთის რწმუნებისა,
მის ღიღებისა,
შორდა უდაბნოს,
რომ იქადაგოს,
წინამორბედოს
ქრისტე იესოს.

შორის ერისა
ებრაელისა
იმან ღაღადა,
გამოაცხადა
ღვთის სათნოება,
მოახლოვება
სასუფევლისა
ზეციურისა.

იქ, მდინარესა
იორდანესა,
ერი ვიდოდა.
ინათლებოდა
იოანესგან
ამით ცოდვისგან
იწმინდებოდა,
იხილდებოდა.

მანვე ღაღადა,
ყველას უცხადა
ქრისტეს შეძლება,
მისი უფლება
კაცთა საქმისა
განჩინებისა,
მათი დასჯისა,
ან წყალობისა.

იოანესთან
ნათლის-მცემელთან
ქრისტეც მივიდა,—
ასე იმშვიდა,—

აღსასრულებლად,
დასამტკიცებლად
წმინდა წესისა
განსაწმენდისა.

ამ მოქმედებით,
თვისი შეხებით,
წყალის ბუნება,
მისი არსება,
ქრისტემ განათლა,
მით ვამართლა
კაცნი ცოდვილნი
და დაერღობილნი.

ღვთისა არსება,
წმინდა სამება,
მისი ერთობა
სამპიროვნება
აქ გამოცხადდა
საკვირველად,
ქათ საცნობელად,
შესაგებებლად.

ღმერთმა მამა,
პირველმა პირმა
იესო ქრისტეს,
პირსა მეორეს,
უწოდა ძედა,
რომელსა ზედა
სულიცა წმიდა
გარდ-ამოვიდა.

ღმერთი—მამა ჰხმოხს,
უფლებით მოწმობს
ქრისტეს ღვთაებას,
მისა ღიღებას,
ტრევის სახითა
მშვენიერითა
პირიც შესავე
იქმნა მოწამე.

ხოლო ეს მოხდა
და გამოცხადდა
იმა მიზნითა
პატიოსნითა,
რომ კაცთა იგრძნონ,
ნამდვილად იცნონ
ქეშმარიტ ღმერთი
სამებით ერთი.—

იცნონ მათ იგი,
ცხოვრების რიგი
ყოვლის მპყრობელი,
ყოვლის მზრუნველი,
ტკბილ მაცხოვარი,
მადლით მდიდარი,
ცოდვისგან მხელი,
ღიღ—სასურველი.

კცთა ცხოვრების,
მათ მოქმედების
ნამდვილ მიზანი,
მათ შინაგანი
ეს უნდა იცოს:
კაცთა უნდა სცნოს
თვისი ტმერთიცა,
თვისი თავიცა.

ეს შეიძლება,
შეიძინება
ქრისტეს სწავლითა,
მისი მადლითა,—
ამა საქმეში
ღიღ—სასურველში
ფუჭი ოცნება
არ გამოადგება...

ი. ბაქუევი.

მოძღვარს-მამა ალექსი ბარს.

გარდავიტოსე თქვენი „ვანსილვა“
„ერნესტ რენანი“-ს მოსაზრებისა;—
მის წინააღმდეგ სიმართლით თხსული—
წიგნაკი „სიბრძნის“ დიად მცნებისა,—

ნამცნები სჯულის, ზენარ-სახელის
„სიტყვის.“ განსიტყვა სამღრთო კრებისა,—
აღსაუყე მადლით, რომელსა ვსხდით
მცნებად, კანონად ნათელღებისა!..

ეცნობრობის თაყვანსაცემი
ჭეშმარიტებით აღსაუყე სული—



ვერ განიკითხვის! ვერც მიემართის
მას ელბი ცრუ ბრძნის გამოსასული.

—

ვისაც სიწმინდე გულს არ უნათებს,
არ აღფრთოვანებს სიმძვიდე სულის—
მან აღბორკვილმა ნერვების სტომით
ვერც რა ძვირგოს სიბრძნე-სისრულის!

—

ღიას, მამაო! მრავალ-არინ
საუბედუროდ დღეს ცრუმეტყველი,
რომელნიც უვიცთ გულთ-მოსაგებათ
ვითამცდა ცდილან ექმნესთ დამცველი!..

—

მაგრამ ამაოდ. ჭეშმარიტება
თავის სსივებში გამოსჭვირდება,—
ნათელი ნათლად, ქვეყნისა მნათად
იყო, არის და მარად იქნება.

—

თქვენ კი, მოძღვარო! კვლავ გვასწავე
ნეტარი სიტყვა ღირს საცნობელი,
რომელს წინ უძღვის ჭეშმარიტება
გვალ-წმიდა სსივით მანათობელი.

თ. როსტომ—გუმა ჩიქოვანი.

19 იანვარი 1909 წელს.

დაკვირება

მოსწავლე ძმისა

ბუნების შვილო, ცხოვრების ვასო.
ქორთვა ვეგეილო, ასაკით ნაზო.

დედაბა გშობა.
ჭსცადა საღმობა,
არა იღარდა,
რმით გამოეზარდა.

—

სიქორფის ეაშმა,
ვით ერთბა წაშმა.
განულო მსწრაფლად,
უსრუნველად.
შენ აღორძინდი,
ასაკა მისწვდი
აღზრდა-სწავლისას.
სასურველისას,

ერიდე მარად;
იუაგი წყნარად
ამხანაგეთან,
იოველ მოვესთან.

—

აღზრდა-სწავლამა,
განათლებამა,
ბუნების შვილი,
ვითა ცოდვილი
უნდა შეამკოს
და ააუვაგოს
სარწმუნოებით;
გეთილ-ზნეობით,

—

ამის მიზნითა
დიდ-კეთილითა
შენ საუვარელთა
ტეპილთა მშობელთა
მიტყემს ტაძარში-
სწავლის საცავში:
სწვლა ისურვე,
მაზედ იზრუნვე.

ესა ისმინე
და შეიძინე
სწავლა ქრისტესი,
ვით უაღრესი:
მის ძილებითა,
აღზრულებითა
კაცს უმხადგება
ზე-ნეტარება-

—

მათ მზრუნველობას,
კეთილსა გრძნობას,
ზატვი ეცი
ვალე მიეცი;
იუაგ ერთგული,
მორჩილი სული;
შრომა კიეუარდეს,
ვალად მიგანდეს.

ირწმუნე ღმერთი
სამებით ერთი;
იუაგი შვილი
მარად კეთილი
ისე ქვეყნისა;
ვითა ზეცისა,
ვით მამულისა,
ისე მშობლისა.

—

ზარმაცობასა,
აუ-ენობასა,
გაუფლისებასა,
ლანძღვა-გინებას

ამ საქციელით
დიდ-სასურველით
შენი ბუნება:
გული, გონება,



აგრეთვე ნება,
მასთან შეგნება
განათლდებიან,
ამაღლდებიან.

ეს განათლება
და ამაღლება
შეგემნს ღირსებას
ჭეშმარიტებას:
ცხოვრების გზას
მისა მიზანსა,
ნამდვილად იცნობ,
სიტკბოსა იგრძნობ.

ესა გჯეროდეს,
ძაზად გასხოვდეს,

რომ იქნე კაცად-
აღმაინად:
იქნე ღვთის შვილი,
ღირსეულ ქმნილი-
შეწუალებული
და ცხოვრებული...

კაცის ბუნება,
მისი შედგენა,
ამასა სურვობს,
ამას თხოულობს,
თუ გულთ იგრძნობ
გონითა იცნობ
მის არსებასა
და თვისებასა...

ი. ბაღუაძე

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** თეიზანა. ლურისტანში საშინლად დიდი მიწის-ძვრა მოხდა. ცნობები ამის შესახებ გვიან მოვიდა. მიუხედავად იშვიათ მოსახლეობისა, 60 დასახლებული ადგილი მიანც დაზარეულა, ამასთან ზოგისა ნაწილი განადგურებულია, ზოგი კი სულ გამჭრადა, მიწის ქვეშ მოჰყოლია. ამბობენ, რომ 6000 კაცამდე დაიღუპა. უმეტესობისგან გაღარ-ჩენილებს საკვები აღარ დარჩენიათ და ბურულშირში გაქცეულან. მთავრობას დახმარებასა სთხოვენ.

* * * სტამბოლი. კირ-კილისასა, სამაკოვსა, მუ-

სტაფ-ფაშასა და ადრიანოპოლის ვილაეთის სხვა ადგილებში ორი საგრძნობელი მიწის-ძვრა მოხდა.

* * * სოფია. იამბოლის მიდამოებიდან მიწის-ძვრაზე ახალ-ახალი ცნობები მოდის. იმ ადგილებში, სადაც მიწისძვრა მოხდა, მინისტრები წაივინენ

* * * სტამბოლი. უკანასკნელ 4 დღეში სივასის ვილაეთში მიწისძვრისგან რამდენიმე ასი სახლი დაინგრა. მოკლული ხუთია

* * * გუშინ, 7 თებერვალს, ბინიდან გამოასვენეს ახლად გარდაცვალებული ეპისკოპოსი პეტრე და წაასვენეს სიონის ტაძარში. სიონში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მრავალი სასულიერო და საერო პირი. წირვასა და პანაშვიდი გადაიხადეს დღეს 8 თებერვალს, და შემდეგ ცხედარი დასაკრძალად წაასვენეს ალავერდის მონასტერში. განსვენებულ ეპისკოპოს დაუტოვებია ფულად 13,000 მან. აქედან ანდერძით 6000 მან. დაუტოვებია თელავის მზრის სოფელ საბუეში ეკლესიის ასაგებად; 400 მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, 2000 მან. საშუალო ქალთა სასწავლებელში იმის სახელობაზე ერთი სტიპენდიის დასაარსებლად; 150 მანეთი—წინამძღვარიანთიკარის სკოლას; 200 მან.—სასულიერო პირთა ქვრივ ობოლთა სამზრუნველოს; 100 მ.— მცხეთის დედათა სკოლას. სხვა თავის ნათესავებისათვის დაუტოვებია

* * * სანბინი. აქაურმა ქართველებმაც გადაიხადეს აკაკის იუბილეი. პირველად მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება. ამ კრებაზე ბევრმა წინადადება შემოიტანა, შეგროვებულ-იყო, შეძლებისა გვარად, წვლილი აკაკის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად და ამით განსაზღვრულ იყო ჩვენი როლი ამ დღესასწაულში, მაგრამ მიანც, ხმის უმეტესობით, გადასწყდა საიუბილეო საღამოს გამართვა. კრებამ ამისთვის აიჩრია კომისია. მან, სხვათა შორის, მიჰპირა მოწოდებით შორ-აღმოსავლეთის სხვა კუთხეში მყოფ ქართველებს და სთხოვა ნივთიერი დახმარება. არც გაუტრუვდა იმედი. საღამოს წინა დღეებში კომისიამ მიიღო ფული:



ვლადივოსტოკიდან: 100 მან.—დოჩანოვისაგან—10 მ., მღვ. იმერლიშვილისაგან; ხაბაროვსკიდან—61 მ. 65 კაზ., კუნჩენძიდან—100 მ. და რკინის გზის სხვა დასხვა სადგურიდან—58 მ., სულ 329 მან.65 კაზ.

11 დღეებმერს, საღამოს 9 საათზე, საკომერციო კრების დარბაზი საზოგადოებით გაიხსო. გარდაქართველებისა, რომელნიც თითქმის ყველანი იყვნენ, საღამოს ბევრი სხვა ტომის საზოგადოებაც დაესწრო. მეტი ნაწილი, რასკვირველია, იყო ინტელიგენცია.

დაიწყო საღამო მგოსნის სურათის ჩვენებით. აპხადეს ფარდა და მაყურებლებს თვალ წინ წარუდგა ეს სურათი, ყვავილ-ბალახით შეემკობილი. სურათს გარშემო ჩამწკრივებულიყო ქართული ხორა ერთოვლ ტანისამოსში. ხორამ ქართული „მრველ ჟამაერ“ შეასრულა. შემდეგ ამისა წაიკითხეს აკაკის მოკლე ბიოგრაფია: რუსულად—ბ. ი. მიქელაძემ და ქართულათ — კ. კვიციანი. ბიოგრაფია

„მრავალ-ჟამიერთივე“ დასრულდა ამას მოჰყვა ლექსების კითხვა იუბილიარის თხზულებიდან. მეორე განყოფილებაში სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე კავკასიური ესკიზი იპ. ივანოვისა. ქანმა ხეცივილისამ ხელოვნურად შეასრულა როიალზე „ლეკური“, „დემონიდან“. მესამე განყოფილება შეიცავდა ცოცხალ სურათებს „ვეფხვის ტყაოსნიდან“. დასასრულ გამოვიდა ქართული ხორა და მწყობრად იმღერა: „რა კარგი რამ ხარ“, „ივანანა“, „მიყვარს ფაცხა“ და სხვა. სიმღერა ძალიან მოეწონა საზოგადოებას და რამდენიმე ხმა გაამეორებინა კიდევ. ბოლოს გაიმართა ლექური და ევროპული ცეკვა. თითქმის დილის 4 საათამდის ხალხი არ დაშლილა. საერთოდ საღამომ კარგად ჩაიარა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

წმინდა შემოსავალი საღამოსაგან ზემო აღნიშნულ შემოწირულ ფულიანად შეადგენს 464 მან.-საერთო შემოსავალთან 989 მან. შედარებით ფული მეტა უნდა დარჩენილიყო, რომ ცოტა მაინც ეკონომია გაეწიათ კომისიის წევრებს, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, არა თუ ეკონომია არ გვიყვარს;

არამედ მისი გაგონებაც ეზარებათ. ამას კიდევ ზედერთვის ის გარემოება, რომ ჩვენ სრულიად არა ვართ დამზადებულნი ამისთანა შემთხვევებისთვის და ამიტომ ყველაფერში მეტი ხარჯი მოგვდის.

ამ დღეებში მომხდარმა ქარველთა საზოგადოების კრებამ, განიხილა რა კომისიის მიერ წარდგენილი ანგარიში საღამოსი, დაუდგენია, გაეგზავნოს ფული წერა-კითხვის საზოგადოების საშუალებით მთავი საიუბილეო კომიტეტს აკაკის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად. თანახმად ამ დადგინდებისა, ფული ამასთან ერთ დროს იგზავნება დანიშნულებისა გვარად.

* * სინოღა და სსსუღაერო აკადემიები. ამ რამდენიმე დღის წინად რუსეთის ხრონიკაში ცნობა გვექონდა, რომ სინოღმა გადასწყვიტა, ავტონომია წაართვას სასულიერო აკადემიებსო. 5 თებერვალს სინოღს უკვე ოფიციალურად გამოუცხადებია ავტონომიის მოსპობა. ესლა ჯერი თითონ აკადემიის „არა სასურველ“ ელემენტებზე მიმდგარა. სინოღი გაცხარებით მუშაობს თურმე დღეში ორი კრება იპართება—დილით და საღამოთი. როგორც გამოირკვა, სასულიერო აკადემიების ავტონომიის მოსპობის რეზოლუციას სინოღს ხელმწიფებს აღარ წარუდგენს, რადგან თითონ სინოღმა შემოიღო ავტონომია და თვითონვე შეუძლიან გააუქმოს იგიო სინოღს მიუწერია ყველა აკადემიის რექტორებისთვის, აკადემია 1884 წლის წესდების დაუქვემდებარეთო. გადასასვლელი და დასამთავრებელი ეგზამენები უმაღლეს საეკლესიო დაწესებულებების კონსპექტის მიხედვით, უსინოღოდ ნურც გააგრძელებთ სამოსწავლო წელსო და სხვა, ამასთან პროფესორებს ევალემათ, თვალყური ადევნონ „პროტესტანტიზმს, ათეიზმს, ნიგილიზმს“, რომელმაც ამ ბოლო დროს ფესვი გაიდგეს სტუდენტებშიაც და ყოველი ღონე იხმარეთ, რომ „ჯასწმინდით აკადემია აწმადირ მიმართულებათაგანაო, ამ დღესევე სინოღს დაუდგენია ყაზანის სასულიერო აკადემიის ორი პროფესორი დათხოვოს“. ერთი—ნიკოლისტობისთვის, მეორე—სიმთვრალისთვის,*) ორს-

*) დათხოვისათვის თუ დათხოვენ ბებრი ვაკანსია გაიხსნება...



კი შენიშვნა მისცეს. ამის შემდეგ რიგე მოსკოვის აკადემიაზე მიდგება, სწერენ გაზეთები. დაჯინებით ამბობენ, რომ პეტერბურგის და მოსკოვის აკადემიებიდან ბევრს პროფესორს დაითხოვენ.

* * * ბაქოში ექსპროპრიატორებს გაუტაცნიათ მდიდარ მამპლიანის გულიცივის შვილი. პოლიცია ფეხზე დაიშვარა.

* * * სეკლეისი კრება. სინოდში დაჯინებით ამბობენ თურმე, რომ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება აღარ მოხდება, რადგან ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი წინააღმდეგნი ყოფილან კრებისა. სინოდის ერთ წევრს უთქვამს: ეკლესია საკმაოდ ძლიერი და მავარია, იგი საეკლესიო კრებას არ სჭირებს.

* * * ხოლორის მსხვერპლნი. მარტო პეტერბურგში ხოლორის დაწყებიდან აქამომდე ავად გამხდარა 9,453 კაცი, გარდაცვლილა 3,886 კაცი, მორჩენილა 5,745. ხოლორა დღესაც არ მოსპობილი რუსეთში და დღე ისე არ გვა, რომ რამდენიმე კაცი არ იმხვევროს.

* * * ერთ დროს წინეთ განსვენებულმა ეპისკოპოსმა კაბრიელმა სტაროსტებს თითო გირგნჯა გასედეულ სანთელზე დაწიშნა სასუქად ორ ორი შურა. ეს აუმათი ფუის ქირაც, სანთლის მოსატანად, თუშა განსვენებულ კაბრიელს ეგონა, რომ ამით სანთლის საქმის წარმოება ძლიერ მითამბუტდა, მაგრამ უკვლამ კრებად იცოდა, რომ ეს სანთლის საქმეს, რომელიც სათავეშია ეყო ცუდათ დამდგარი წაბმა ვერ დაბრუნება. მრავალი სტატეები დაბეჭდა „მეწესისა“-ში ამ კითხვას შესახებ. 1902 წელში ადიარა კითხვა, რომ სანთლის ეიდვა და ღარიკება ეკლესიაზე მინდობდა ბლადიმირის და მათვე მოქმედანთ ფინსული კონსტრუქციის სოფელის ეკლესიაში, რომ სანთლის ფასობა წარმატებულყოფი უმჯობესად, მაგრამ სამდგულოების კრებაზე მდგულები მეტისმეტად წინააღმდეგენ ამ კითხვას და არ სურდათ ბლადიმირის მოქმედანთ სანთელი. ეპისკოპ. ლეონიდი დათანხმდა სამდგულოების თხოვნას და ორი შურის აღება სტაროსტებს ისე დაუტოვა. სასახრულოდ მათმა შეუფუძავს ყოფილ სამდგულო კიბრებო მოწერილობით 18 თებერვლიდან ამა წლის № 641 გააუქმა ეს უკანონო განსაჯი და დღეის შემდეგ არავის არ შეუძლია ორი შურა აიღოს მტრანის ხარჯათ.

* * * გოლოს კავკასია თავისს არ იშლის და ეოველ ძველებთან მშვენიერ საკატეგორია მასდად იყენებს. პოლიციელის მოკვლამ ვერაზე მახდა მისცა შერახსმულ კავკასიის. სწუხს და გოდებს, თათქო მართლა ამ კაცი-ჭამიებს გული მესტკიოდეთ ვისმესთვის და რამესთვის. „გოლოს კავკასია“-ს, რა თქმა უნდა, შეუძლიან იფარისეგლოს და თივალთმაცტოს, რამდენიც იმის სულს და გულს მოესურება, მაგრამ არც ისეთ სიმდაღემდე დატემა შეიძლება, რომ სასახრადანის ცილის-წამიებითა და ბუხლითათა მოსწამლოს ჭყარა.

უკანასკნელ ნომერში (744) „გოლოს კავკასია“ სწერს, რომ ადგილობრივ სასოვადლოებას („ტუხენია“), ადგილობრივი პრესის სდესმე მოველობების შესახებ ესე კვი გამობრის, რომ ჩვენ, ქართველები (წერაიდან აშკარად სახას, რომ მხედველობაში ქართველები ჭყავს) ხელს ვუწყობთ და ვამრავლეთ კანის შეკვლებს და ნაძირალებს.

ვაშორებთ, ამ სისახრადრემდე მისვლა „გოლოს კავკასია“-სთან, კავკასიის შეუძლიან მთლოდ *

✓ * * * შერახსმულები და სარწმუნოება. ამ რამდენიმე დღის წინად კიევში „სტაროსტ რუსთა კავშირის“ წარმომადგენლების კრება მოხდა. კრებაზე დიდი კანათი გავოუწყება იმას, საჭირათა თუ არა დაბალება. უმეტესობა იმ აზრს დასტობათ, რომ დაბალება, როგორც კბრებლების ნაწარმოები, „კრამოლნიურათ“ და ხმარებაში ადარ უნდა იყოს; საჭირათა სასულოეო სასწავლებლებში ადირმატლოს მისი სწავლება. კრებას ვერა. იფრა ტადარწვევბა. ამ საკითხის სდემორედ განახილავენ კიევში „სტაროსტ რუსთა კავშირის“ და სამდგულოებას წარმომადგენელთა შეერთებულ კრებაზე.

აფხაზების გამაჭმადიანება 28 იანვარს სინოდში წკითხულ იქმნა კავკასიის სასულოეო მთარობის მოხსენება იმის შესახებ, რომ აფხაზებში მართმადიდებლობიდან გადადგომა და მამპლიანობის მიღება გახშირდა. ამ მოხსენებამ იქ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. ზოგიერთები ცხარობდენ და

* * * რომ მართლა ვარციონ ვინმე ჩვენი საერო გაზეთების რედაქტორები ამისთან ცილის წამებისთვის დღულში გამოიწვევდა და რაღორივე გზით გაუსწორებოდა ამ გაზეთის რედაქტორს, ან ამ წერილის ატორს, მაგრამ ჩვენი პუბლიცისტებისთვის საკმარისია სთქვან: „არავინ დაუჯერებოდა“! გათვად საქმე!..



ამტკიცებენ კავკაზიაში მაჰმადიანობის გამავრცელებელ პირებთან სასტიკი ბრძოლა უნდა დავიწყეთო... საინტერესოა ის არის, რომ ხსენებულ პირთა აზრით ხელმოწერის მიერ 1905 წ. 17პარლის გამოცემული ბრძანება საწმენდოებრივ თავისუფლებების შესახებ მხოლოდ იმათ შეეხება, ვინც წინეთ სხვა რჯულის ყოფილა და შემდეგ მართლმადიდებლობა მიიღო, ამიტომ თუ სადმე არიან მონათლული მაჰმადიანები მათი ხელახლად გამაჰმადიანება კანონიერად უნდა ჩაითლოსო. აფხაზებსკი ასეთ უფლებას ვერ მივანიჭებთო, რადგანაც მათი წინაპრები ქრისტიანები ყოფილან და მაჰმადიანობა მათში მხოლოდ შემდეგში გავრცელდა. აზრად აქვთ სახელმწიფო სათათბაროს დებუტატ-მღვდლებს ამის შესახებ ლაპარაკი აღაპრვიანონ. ვადასწყვიტეს აგრეთვე უშაღლეს მთავრობას აცნობონ აფხაზების ამბავი და კავკაზიის ნამესტნიკის და კავკაზიის ადგილობრივ სასულიერო უწყების უკანონო მოქმედება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი აფხაზებს მაჰმადიანების უფლებას აძლევენ.

* * * «კასპი»-ს სიტყვით, კახეთში ქართველთა ორ საფეხელ ბაქტისტობა მიუღიათ. საზოგადოდ, როგორც ჩვენ ვეატკობინებენ, ბევრნი აპირებენ თურმე სარწმუნოების გამოცვლას.

* * * «კასპს» დებეშით ატკობინებენ პეტერბურგიდან: „პეტერბუჟში ჩამოვიდა ქართველ სამღვდლოებისა და ერის კაცთა დებუტატია. დებუტატციას აზრად აქვს გამოარკვიოს საკითხი ქართულ ეკლესიის განზრახულ როგორგანიზაციის შესახებ. ეს როგორგანიზაცია, დებუტატციის აზრით, უფრო დააჩქარავს საქართველოს ეკლესიის დაცემას. დებუტატციის უშეამდგომლობა სინოდმა გადასცა განსახილველად და თავის აზრის წარსადგენად დეკანოზს ვოსტორგოვს, რომელიც ავტოკეფალიის შეუფრთხველ მტრად ითვლება“. ჩვენ ამ დებუტატციის შესახებ არა ვაგვიგია-რა.

* * * გუშინ, 2 მარტს, დასაფლავეს მესამე მსროლელთა ბატალიონის ერთი იმ ჯარისკაცთაგანი, რომელიც ამ დღებში ვილაც ბოროტგანმზრახველად დასჯრა ნაძალადევი და რომელიც ორი დღის შემდეგ მახვილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. დასაფლავებას დაესწრო ნაქსენიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი, ჯარი და სხვანი. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატი-

სოვმა მიმართა გენ. შატილოვსა და მესამე ბატალიონის უფროსს შემდეგის სიტყვით: „ნება მომეცით მე, როგორც ქალაქის თავის მოადგილემ, გამოვცხადოთ თქვენ და მთელ ბატალიონს უღრმესი თანაგრძნობა იმ მწუხარების გამო, რომელიც დაგადგათ ამ ჯარისკაცის საზიზღარ მკვლევლობით. დარწმუნებულნი იყვნეთ, რომ მე, ჩემის აქ დასწრებით, გამოვხატავ მთელი ტფილისის მცხგრებთა გრძნობას. მცხოვრებნიც დიდ ტანჯვას განიცდიან იმ პირთა ძალმომრეობისაგან, რომელნიც არ ერიდებიან ბოროტ-მოქმედებებს, ალაშფოთებენ საზოგადოებრივ სინდისს და არ-ღვევენ საზოგადოებრივ მყუდრობა-შედილობიანობას. ნება მომეცით, თქვენთან ერთად დავიტრო უღანაშაულო მსხვერპლი და გამოვთქვა მზურავლე იმედი და სურვილი, რომ ჩვენი ქალაქი ამიერიდან მიინც აღარ იყოს იმ სულის აღმაშფოთებელ ამბების ასპარეზად, რომელთა მოწამენი ჩვევა ვართ. მოქალაქეთა სურვილის, ერთხელ კიდევ მოგახსენებთ, რომ შიფლის გულით ვინაწილებ თქვენს მწუხარებას.“ ბატალიონის უფროსმა მადლობა გამოუცხადა ქალაქის თავის მოადგილეს თანაგრძნობისათვის.

* * * მღვდელ ვოსტორგოვს. დებეშთა სააგენტო შემდეგ ანიშავს დამოვაცემს: „ხელმწიფე იმერატორმა სინოდის ობერ-პროკურორისა და სინოდის დადგენილების თანხმად, კეთილი ინება და ბრძანა, რომ სინოდალურ შეჯამებულ-მისიონერს, ვოლგისა და ურალის ეპარქიების საეკლესიო სკოლების საოლქო ზედამხედველს, დეკანოზს იოანე ვოსტორგოვს სამაგალითო სამღვდლო სამსახურისთვის, საგანმანათლებლო, სამისიონერო და მატრიარქულ მღვდლწოდებისათვის ებოძოს ორდენი წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხისა.

რედქციისაზან: „მწყემსი“-ს რედქცია ბოლიშს ითხოვს ხელის მომწერლობთან, რომ იანვრისა და თებერვლის თვეებში თითო ნომერის მეტი ვერ გამოიკა დღესასწაულებებისა და დიდი მარხის პირველი კვირის გამო, როცა ხალხი ზიარობს და ამ დროს მოძღვარს მეტის მეტად შევრი საქმე აქვს.

საღმრთო ისტორია. ძველი აღთქმისა რუსულ-ქართულად უკვე მიეცა შესაქრავდ წიგნის დამკაშფელს და ერთ კვირას იქით გამოვა გასაყიდად.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმენოებსა და კეთილზნობაზე.

თვით მცირე

(დასასრული).

ხალხს ცხოვრებაში ბოროტება იმოდენა შეუგროვდა, იმოდენა გროვა დაღა ყოველივე უსამართლოებისა, რომ ძალიან ბევრი შრომა და ცდილობა საჭირო ყოველივე ამის გადასათხრელად და წმინდა სიკეთის გამოსაჩენად. იგავის გამგებელს ამისი ძალა არ შესწევს; იგი გაფლანგულია. ის თითონ აღიარებს დანაშაულს: „მუშაობა აღარ შემიძლიან.“ თხოვნა მოწყალებისა ამ უხეიროდ გაფლანგვის შემდეგ, გაკირვებაში მიქცევა იმისავე, ვისკენაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზურგს ჰქონდა შექცეული, —ვისრცხვილება. მაშ რა უყოს? სად მოძებნოს შევლა? სად იპოვნოს, თუნდაც პატარა ქვა, რომ იმაზე დაეყრდნოს? თუნდაც წვრილი ჩალა, რომ იმას მოეკიდოს? იგავის ბოლო იძლევა ამაზე პასუხს: გვიჩვენებს ჩვენ, უსამართლო გამგებელს, უკანასკნელ გამოსავალ გზას ამ გაკირვებიდან, გამოგვიწოდებს „ჩალას“.

სახარების ზოგიერთი დარიგება გვაჩვენებს ჩვენ თვით უმაღლეს მოთხოვნილებას, მაგალითად: იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს“ (მათ. 5, 48); ზოგიერთი დარიგება-კი, პირ-იქით, გვიჩვენებს ჩვენ საზღვარს, რის ქვეითაც ჩასვლა არ შეიძლება, — აღნიშნავს საზღვარს, რომლის იქითაც თავდება ყოველივე სინათლე და იწყება სრული სიბნელე. ავხსნათ მაგალითით; პავლე მოციქული სწერს: „განუწყვეტლივ ლოცულობდეთ“, მუდამ იქონიეთ ლოცვის განწყობილება,

მთლად თქვენი სიცოცხლე იყვეს მუდმივი მსახურება ღვთისა და ქვეყნად მისი სიმართლისა. ეს — უმაღლესი მოთხოვნილება ქრისტიანებისადმი მიცემული. ძველად ებრაელებს ჰქონდათ მიცემული სხვა მცნება „ექვსის დღესა იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შესა, ხოლო დღე იგი შეუვადე, შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.“ ექვსი დღე — შენ, ხოლო ღმერთს — მარტო ერთი. ეს უკვე უკანასკნელი საზღვარია. თუ კაცი ამასაც არ შეასრულებს, მაშ ის ღმერთს არ ეცილება ჩლითა-კი. აი ასეთ უმცირეს მოთხოვნილებას გვიჩვენებს იგავი. თითონ გამგებელი შევიდა ისეთ ქაობიანში, რომ გამოსვლა აღარ შეუძლიან. მაგრამ იმას აქაც შეუძლიან კეთილი საქმე გააკეთოს: იმას შეუძლიან სხვებს მაინც შეატყობინოს, რომ იმისი გზით არ წვიდნენ, რომ ისინიც აქ არ მოვიდნენ. უბედურობა ჩვენში ის არის, რომ კაცი თითონ იხრჩობა ცხოვრების მორევში და სხვებსაც იწვევს თავისკენ.

უმაღლესი მოვალეობა ქრისტეს მოწაფისა არის ის, რომ თითონ შეასრულოს მცნებები და სხვასაც ასწავლოს მათი შესრულება. თუ არ შეუძლიან ბელადთა ყოფნა, არა აქვს იმდენი ძალა, რომ სხვებს წინ გაუძღვეს, მაშ სიბნელეში მისიარულებისათვის მაინც იყვეს გზის მაჩვენებელ ნიშნად, ცეცხლებრივ ნიშნად ღვთის სიმართლის სიმადლეზე; თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, მხურვალე მოწოდებით სიკეთისადმი. გააღვიძოს ხალხის სინდისი. მაგრამ შეიძლება მოხდეს, რომ კაცს როგორც იგავში გამგებელს, აღარ შესწევს ძალა სიკეთის გაცემებისა, ან მისკენ მოწოდებისა. მაშინ როგორ მოიქცეს? გამოსადგვია მაშინ კიდევ კაცი ღვთის მამულის შესამუშავებლად? „დაიხ, გამოსადგვია“, — გვიასუბებს იგავი. თუ იმას არ შეუძლიან საკეთის გამჩვენებლად, მაშ ბოროტება მაინც შეამციროს; დღე იმან თავისი მწაერ მაგალითით გააფრთხილოს ხალხი, რომ იმათ მაინც აღარ გაიბრუნ იმ გზაზე, რომელმაც მიიყვანა იგი ასეთ საშინელ ბოლომდის.

ხალხური თქმულება მოგვიხრჩობს, რომ ერთ სოფელში კარგი მოსავალი მოვიდა და იმის გარშემო-კი შიმშილი იდგა. ბედნიერები ამზადდნენ ტუბილ სასემლს საქმელს მზიარულობენ. მოხუცი პაპია ოვედრე უშლის: „დღეადეთ, — ეუბნება, —



თქვენ ეხლა მშენებელ ლავაშებსა სქამთ, და ბაგანსა სვამთ; უნდა მეზობლებსაც მიჰხედოთ უბედურობაში“. ახალგაზრდები ჯავრდებოდნენ, „ჰო ეხლა ვგრე ამბობ; ახალგაზრდობაში როგორ იქცეოდით გახსნამ?“.

— მახსომს, ძმებო, — ამბობდა თვედორე. — ცუდად ვცხოვრობდი, ჩემებურათ ნუ იცხოვრებთ. უკეთესად იცხოვრეთ, რომ ხალხში ცუდი სახსოვარი არ დარჩეს თქვენზე. ნუ იცხოვრებთ ჩემებურად; ნუ გქენებათ ჩემოდენა ვალები წინაშე ღვთისა. ძნელია იმათი ზილვა, ტარება ზურგით; ეცადეთ რომ რაც შეიძლება ეს ვალები ცოტა იყვეს; თქვენ შეგიძლიათ გაშინჯოთ ჩემზე, რამდენათ კარგია ცუდი ყოფა-ქცევა. მე თითონ ჩემი თავი მეჯავრება. მოშორდით დროზე ბოროტებას მანამ გაქვთ შეძლება, მანამ თქვენი სული მთლათ არ გაფუჭებულა, შეამცირეთ თქვენი ვალები სახლის-უფროსისა, ჩამოაგდეთ ტვირთი სულისაგან, იმუშავეთ თქვენი თავის გაუმჯობესებაზე, ეცადეთ განთავისუფლდეთ ცოდვებისაგან.

— შენს ხელ-წერილში, — ეუბნება თვედორე ერთს, — ასი საწყაია უსამართლობისა; ნახევარი მაინც გადააგდე, დაე დარჩეს ორმოცდაათი. შენკი ეს არ შეგიძლიან? — ეუბნება იგი მკორეს. — მაშინ ასიდან ოთხმოცზე მაინც ჩამოდი. ერთ ნაბიჯს მოშორდები ბოროტებას, და ახლოს მიხვალ ღმერთთან.

ამწიარათ თვედორემ თავისი ცუდი ცხოვრებით კეთილი გაკვეთილი მისცა სხვა ხალხს, რომლის კეთილი საქმეებიც იქნებიან შუამავლად თვედორისთვის წინაშე ღვთისა.

მაშ, ისწავლეთ რა არის ნება ღვთისა. როდესაც ნახავთ მას, ემსახურეთ იმას და სხვებსაც იგივე ასწავლეთ. თუ არ შეგიძლიანთ შეასრულოთ ღვთის სიმატლე, მისი მახარობლები მაინც იყავით: „წარვედით და იქადაგეთ, რომ მოახლოვებულ არს სასუფეველი ღვთისა“. უკანასკნელ შემთხვევაში მოყვასი ბოროტებისაგან მაინც დაიპირეთ. თუ

თქვენ ქვეყნად არ ამრავლებთ ღვთის სიმიდირეს, არ ამრავლებთ სიკეთეს, მაშ უსამართლო სიმიდირით მაინც, მწარე გამოცდილებით მიხვდარი თქვენი გაფუჭებული ცხოვრებისა, ეცადენით შეამცირეთ ბოროტება. ღვთის საქმეს ამ ქვეყანაზედ რითიმე მაინც მოუტანეთ საყვებლობა.

გ ა ნ მ ს ხ ა ლ ე ბ ა .

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის ორპირაულ ჟურნალს

XXV წ. „მწუქემს“-ში XXV წ.

ქ უ რ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თეთი 3 მან. — 6 თეთი 2 მან.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბავერადაშა — რედაქციაში..

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. 2. 3. პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაე-თმობათ მთელის წლით ორ მანკოად.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ვერადაშა რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღდრესით: Вь Квирлы, вь редакцию журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწუქემსი“-სა, რომელნიც მანეთნახევრად დაეთამობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი. რედაქტორ-კამოცემუჯი დეკანაზი დ. დამბაშაძე.



ისეიღებთან

დაქანული ღვთის დაგაზიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი
სახეობალების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—
«მწყემსი»-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

- 1. ლოცვანი ნახატებანი, გამოცემა
მესამე. მართლმადიდებელი ეკლ. უბოაე-
რესი დღესასწაულების ისტორიული მოთ-
ხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი
წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარა-
კლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს
შევთა მეტყველებაში არიან ჩართულნი
საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული
მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.
ყლით 25 კ. და უყლით . . . 20 კ.
- 2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პა-
ნაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
- 3. სოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსა-
ხსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20—
- 4. ძონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყ-
ლით 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
- 5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და
თორმეტი სუფლო დღეების ტროპარ-
კონდაკებით ფ. . . 5 >
- 6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. . . 5 "

2. სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.

- 1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ.
- 2. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯუ-
ლის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
- 3. ახალი ასსულიერო კონსისტორიათა წეს-
დებულება—ფასი . . . 30 კ
- 5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების
ღრის საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—
ფასი ყლით . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯან- მრთელობის დაცვაზე.

- 1. ახალ კარბანდინი, მეორე გამოცემა და-
მატებით, რომელიც განხილული, მოწო-

ნებელი და ნება-დაზოულია კავკასიის
საქმიო რჩევისაგან ყლით ფასი . . . 1 მ.
უყლით . . . 60 კ.

- 2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვა-
ლების მოვლაზე, ფასი . . . 10—
- 3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის
საუბარი . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეპიკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხო- ვრების აღწერილობანი,

- 1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.
განმანათლებელი, ფასი. . . 15 კ.
- 2. ბელაისის მონასტერი და ცხოვრების აღ-
წერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 20 "
- 3. შიო მღერის მონასტერი და ცხოვრების
აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
- 4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე
და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . . . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
- 5. მარძის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
- 6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. სუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაუ- ლების აღწერა სწავლება დარიგებით.

- 1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2—
- 2. ბაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2—
- 3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყო-
ფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
- 4. შობა უფლისა . . . 2 კ.
- 5. მიჩაძა უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2—
- 6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
- 7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
- 8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
- 9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
- 10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . . 3 კ.
- 6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი სა-
ქართველოს ეპიკლესიისა, შესანიშნავი საქარ-

თველოს მეფენი და დედოფალნი:

- 1. წმიდა მოწამე რაქდენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი . . . 2—
- 3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . . . 5—
- 4. თამარ მეფე, სურათით . . . 5—



- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუშანიცი 2—
- 8. ქუჩუან დედოფალი 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულად 8—

ხატები და მხატვრობანი.

7. რელიგიური და მხეობრივი შინაწისწი წიგნები და საუბრები:

- 1. წმიდანი მღვდელ-მთაბარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ლეთის-მეტყველი და იოსებოვი 5—
- 2. როგორ უნდა გვიჩვენოდა — ფასი 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინოპოლის მთავრის წერილი 5—
- 6 ხმა მოძღვრისა სიმეფსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7 შვილების მღვდლობა მშობელთადმი 3—
- 8 მშობლების მღვდლობა შეიღთადმი 3—
- 9 ენ არაინ ჩენი ცხოვრების მტეხნი და როგორ უნდა ესაუბროს მათ 3—
- 10 იმეჯებელით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11 საუბარი ლეთის სიტყვაზე 3—
- 12 — შრომაზე 3—
- 13. სამგარი სიკვდილი 5»

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მამე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე ი.ო. ძისა ზიკაქესა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—
- 5. მრავალ წამებელი იობი 5 კ.

11. მხატვრობანი ხას. და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
- 2. აკაკი წერეთელი 25 კ.
- 3. თამარ მეფე 25 კ.

იმეჯონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

იმეჯონებინ პატარა იფ-ფასიანი ხატები ფიცარზე სან-მოთ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერის ლეთ-ს მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დიხარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩენს საქართლოში ყველგან ფოსტის გასავაზანი არა გარდახდება ამასთან იმეჯონება სქელ ქალღმერთ ნახტი წმიდა ნინასი, საქართვლოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოი 5 კ. ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კასიკან წიგნაკებს დიხარებს არა ნაკლებ ასი ცოლისა, ის ფოსტით გასავაზანს არ იხდის.

იმეჯონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაიკიდი ხატები ფერკადღვლი ლითონისა, სახელობორ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოი 5 კ. ვინც ასს დიხარებს ნალდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სპ მან. ესეთი იმეჯონებინ ვერცხლისა, ფასი 40 კ.

ყურნალის „მწკმსი“-ს

სტამბა

(დ. დ. ლამაზიძისა)

იღებს ყოველ გვარ სამეტყველო ხაჯებს. სტამბა ასრულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკვეთილ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამაზიძის საკუთარ სახლებში.

Дозволено Цензурою 28 Февраля 1909 года г. Кутаиси

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე, 28 თებერვალი 1909 წ.

სტამბა ყურნალის „მწკმსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.